# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 ივნისი, 2015 წელი.

№106 (7751)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.



მაგთიკომი
MAGTICOM

**მაგთიკომი არ ჩასვამს პალიტრა TV-ს მაგთისატის სამომხმარებლო პაკეტში, სანამ პალიტრა TV არ უზრუნველყოფს სამაუწყებლო სიგნალის გეოსტაციონარულ ორბიტაზე მყოფ თანამგზავრამდე ატვირთვის საფასურის გადახდას, რისი ვალდებულებაც დაადგინა კანონიერ ძალაში შესულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ (საქმე №3/672-14), მიუხედავად იმისა, თუ რა სტატიებს გამოაქვეყნებს პალიტრა მედია მაგთიკომის შესახებ.**




## დღეს საქართველოში ისე უცნაურად ბნელა, რომ... ყველაფერი აშკარად ჩანს!..

**„რუსთავი-2“ ნაციონალურად საბოლოოდ მოშხამული ნიკა გვარამიას ამირსპასალარობით ოცდაოთხსაათიანი რეჟიმით განაგრძობს ჯოჯოხეთურ პროპაგანდას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.**

ამ აშკარად ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის შეუვალ სპასპეტად გვევლინება სააკაშვილის ყურმოჭრილი ყმა გიორგი ჯულიეტას ძე (მამით გაბუნია), რომელიც ყოველ შაბათსა და სამშაბათს სულში აფურთხებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე ნაციონალებისთვის ზურგშექცეულ ქართველ ხალხს, მთელ საქართველოს მოსახლეობას.

ჯერ წინა სამშაბათი არ გვქონდა დავიწყებული, როცა თითქმის მთელი ორი საათი ალაქლაქა ძებნილი სააკაშვილი, რომ აგერ ახლა, ამ სამშაბათს, ახლა ასევე ძებნილი ბოროტმოქმედი ზურაბ ადეიშვილის ხილვით „გაგვახარა“...

მიზანი ცხადია: **ნუ იგულმავიწყებთ ამ ბოროტ ადამიანებს, ესენი ხვალ ისევ აუცილებლად მოვლენ ხელისუფლებაში. მართალია, წინა ცხრაწლიანი მმართველობის დროს ბევრი შეცდომა მოუვიდათ, მაგრამ სამაგიეროდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, ამჟამად უკრაინაში კიდევ უფრო გამოიბრძმედებიან, გამოიწრთობიან და მერე ნახეთ, რა სისწრაფით განაგრძობენ 2012 წლის 1 ოქტომბერს შეწყვეტილ თავიანთ რეფორმატორულ საქმიანობას!**

„ქართულო ოცნებავ“, შენ ასე, კვლავაც ოლიმპიური სიმშვიდით სმენადაძაბულმა უსმინე სოციალური ჯოჯოხეთის მოწყობის მიზნით „რუსთავი-2“-ის ყოველდღიურ ოცდაოთხსაათიან ძირგამომთხრელ პროპაგანდას და მოთმინებითა შენითა მოიპოვე უწინარესად შენდა საზიანოდ გალიბერალებული სული შენი!... **ანუ ეშმაკეულ ნაციონალებთან მედგარი, პრინციპული ბრძოლის მაგივრად უფხო და უგერგილო პოლიტიკურ ბღლარძუნ-ბღლარძუნში სამარცხვინო მარცხი!**

პირდაპირ საკვირველია, ნუთუ მართლა ვერ ხედავთ ან არ გინდათ, რომ დაინახოთ, რა გაშმაგებით იბრძვის ოდესაში გაგუბერნატორებული სააკაშვილი თავის დამნაშავე ხროვასთან ერთად საქართველოში ხელმეორედ გასაბატონებლად.

ამ ახალ გაბატონებას კი რაც მოჰყვება პირადად თქვენთვის, ნუთუ ეს მაინც არ გაშინებთ?!

თქვენგან განსხვავებით, ოცნებელნო, დღეს ყველა ჩვენი სალად მოაზროვნე მოქალაქე ცხადად ხედავს, რომ საქართველოში ისეთი უცნაური სიბნელეა ჩამოწოლილი, როცა ყველაფერი აშკარად ჩანს... ჩვენიც, თქვენიც და განსაკუთრებით იმათი!

ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, საქვეყნო საწალმართო საქმეს მთლად მაინცდამაინც კარგი პირი არ უჩანს!..

**გურამ გოგიაშვილი**

## „სასამართლოს თავმჯდომარეთა უფლებამოსილება სხვა პროცედურით შეიძლებოდა შეწყვეტილიყო“

3

## მდიდრებმა ღარიბები აშკარად დაჯაბნეს



4




## რის ხარჯზე მატულობს სამუშაო ადგილები საქართველოში

6

## მონური მორჩილება და დემოკრატია?!

5




## „საქართველოში ესტონური მოდელის დანერგვა საკმაოდ წაახალისებს ბიზნესს“

3

## გაუმჯობესდა თუ არა საქართველოს რიგითი მოქალაქის მდგომარეობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში?

6

# ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ვერ ვახდენთ რესურსების ეფექტურად გამოყენებას



**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში განაცხადა, სადაც სახელმწიფო კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებს შეხვდა.**

პრემიერის განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სახელმწიფომ მისი რესურსების ეფექტურად გამოყენება შეძლოს. პრემიერის შეფასებით, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი კაპიტალი სწორედ ადამიანია.

„ყველამ კარგად ვიცით, რომ სახელმწიფოს მთავარი კაპიტალი ეს არის ადამიანი და შესაბამისად, ადამიანური რესურსები. ჩვენი და, ზოგადად, განვითარებადი ქვეყნების მთავარი პრობლემა არის ის, რომ ვერ ვახდენთ პრობლემების დროულად იდენტიფიცირებას და რესურსების ეფექტურად გამოყენებას. სწორედ ამაზე უნდა ვიმუშაოთ. ეს უნდა იყოს მიზანმიმართული, აქცენტირებული მუშაობა და ამას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს იმიტომ, რომ, თუ ადამიანმა, როგორც მთავარმა სახელმწიფო კაპიტალმა, ვერ შეძლო განვითარება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, რა თქმა უნდა, მიუღწეველი იქნება წარმატება, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ ეფექტურად სხვა დანარჩენი რესურსების გამოყენებას. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით იმისთვის, რომ კვალიფიციური და ნიჭიერი ადამიანების რესურსების განვითარებას და მათ სრულ რეალიზაციას შევუწყოთ ხელი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2013 წლიდან ატარებს. კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტი სტუდენტები პირველად საქართველოში სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. 2013-2014 წლებში სულ 230-მდე დოქტორანტი დაფინანსდა.

## „მკვლელები ოდესაში იმალებიან. ვერ დაბრუნდებით!“

**ამ და სხვა შინაარსის წარწერები ბათუმში, ე.წ. გაჩერებული პროექტების მუზეუმის კედლებზე გუშინ, დილით შენიშნეს. გარდა ამისა, შენობაზე, სადაც პარტიის ოფისიც არის განთავსებული, გაკრულია მიხეილ სააკაშვილის ფოტოები და 7 ნოემბრის აქციის დარბევის ამსახველი პლაკატები.**

**პარტიის წევრები საქმის გამოძიებას ითხოვენ. „გამთენიისას მოხდა ეს ამბავი. ჩვენ გვაქვს დამონტაჟებული ვიდეოთვალი ოფისზე. ამ ქუჩაზე ბევრი კამერაა და, ბუნებრივია, კარგად გამოჩნდება ყველაფერი. ეს არის ორგანიზებული სუსის მიერ. ჩვენ შევიტანთ შესაბამის ორგანოებში სარჩელს და მოვითხოვთ გამოძიების დაწყებას. ცალსახაა, ხელისუფლების ჩარევის გარეშე, ქალაქის ცენტრში ეს ვერ მოხდებოდა“, — განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი კირთაძემ.**

## მიშას უკრაინულმა პავამ მადა გაუღვიძა

**სააკაშვილი სკანდალში კიდევ ერთხელ გაეხვა. ჟურნალისტმა და პროდიუსერმა ალექსანდრ დუბინსკიმ, ბლოგის საშუალებით, უკრაინის სახალხო რადას დეპუტატ მუსტაფა ნაიმის უსიამოვნო კითხვები დაუსვა, რაც დეპუტატისა და სააკაშვილის კიევის ერთ-ერთ ძვირად ღირებულ რესტორანში ვახშმობას შეეხებოდა.**

**„სომელიეს ნათქვამის მიხედვით, თქვენ სვამდით ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ღვინოს, რომლის ერთი ბოთლის ფასი 3250 გრივნაა. იმის გათვალისწინებით, რომ შენმა მეგობარმა და პოროშენკოს ბლოკის ერთ-ერთმა წევრმა სერგეი ლეშენკომ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მაისში ხელფასი 5000 გრივნა აიღო, გამოდის, რომ მთელი ხელფასი ვახშამზე დახარჯე. ასევე ყველასთვის საინტერესო იქნება იმის გაგებაც, თუ რა რეფორმებზე ლაპარაკობდი მიხეილთან. გამიხარდება, თუ მიპასუხებ აქ კომენტარებში, ან სოციალურ ქსელში“, — წერს ჟურნალისტი და იქვე აანონსებს შემდეგს: „ბატონი სააკაშვილის ცხოვრების წესის უცნობი დეტალები, მისი სიყვარული რესტორნებისა და ქალებისადმი, ასევე ფულისა და გართობისადმი, ნახეთ „უკრაინულ სენსაციებში“ არხ „1+1“-ზე“. დუბინსკიმ რესტორანში მყოფი დეპუტატისა და გუბერნატორის ფოტოებიც გამოაქვეყნა.**



**ანტრე, ბატონო!**

# 94 ქვეყანა, რომელთა მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეეძლებათ

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, დამტკიცდა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა. სია 94 ქვეყანას მოიცავს. მათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება აქვთ.

საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლების მქონენი არიან: **ავსტრალიის თანამეგობრობა, ავსტრიის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ალბანეთის რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, ანდორის სამთავრო, ანტიგუა და ბარბუდა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, არგენტინის რესპუბლიკა, ახალი ზელანდია, ბარბადოსი, ბაჰრეინის სამეფო, ბაჰამის თანამეგობრობა, ბელარუსის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, ბელიზი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანის რესპუბლიკა, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბრუნეი-დარუსალამი, ბულგარეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანიის სამეფო, დანიის სამეფოს ტერიტორიები — ფარერის კუნძულები და გრენლანდია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები — ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები — ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი, დომინიკის რესპუბლიკა, ელ-სალვადორი, ეკვადორის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, ესტონეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, თურქმენეთი, იაპონია, ირლანდიის რესპუბლიკა, ისლანდია, ისრაელის სახელმწიფო, იტალიის რესპუბლიკა, კანადა, კატარის სახელმწიფო, კვიპროსის რესპუბლიკა, კოლუმბიის რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, კოსტა-რიკის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ლიბანის რესპუბლიკა, ლიხტენშტაინის სამთავრო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, მავრიკის რესპუბლიკა, მალაიზია, მალტის რესპუბლიკა, მექსიკის შეერთებული შტატები, მონაკოს სამთავრო, მოლდოვის რესპუბლიკა, მონტენეგრო, ნიდერლანდების სამეფო, ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები — არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები, ნორვეგიის სამეფო, ომანის სასულთნო, პანამის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთის რესპუბლიკა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სან-მარინოს რესპუბლიკა, საუდის არაბეთის სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები — საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია, სეიშელის კუნძულები, სენტ-ვისენტი და გრენადინები, სერბეთის რესპუბლიკა, სინგაპურის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენიის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, ტაილანდის სამეფო, ტაჯიკეთის რესპუბლიკა, უზბეკეთის რესპუბლიკა, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთის რესპუბლიკა, ქუვეითის სახელმწიფო, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია, ჩეხეთის რესპუბლიკა, წმინდა საყდარი, ხორვატიის რესპუბლიკა და ჰონდურასის რესპუბლიკა.**

ჩამონათვალში ვერ მოხვდნენ **ირანი, ერაყი, ჩინეთი, პერუ, ჩილე, ბოლივია, გვატემალა.**

საქართველოს მთავრობამ ახალი დადგენილებით გააუქმა 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“. ამ დოკუმენტით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლა ეზღუდებოდათ. მათ 180 დღის განმავლობაში მხოლოდ 90 დღით ჰქონდათ ქვეყანაში დარჩენის უფლება.

**ალა გრიგალაშვილი**

# გენო კალანდიას დაბადების 75 წლისთავს ულოცავენ



## თქვენი გზა სიტყვისა და საქმის მსახურებას დაუკავშირეთ!

ადამიანები სხვადასხვა მისიით იბადებიან და ჭეშმარიტად ბედნიერია ის პიროვნება, ვინც თავისი ცხოვრების აზრს გააცნობიერებს.

თქვენ თქვენი გზა სიტყვის და ხალხის მსახურებას დაუკავშირეთ, რაც ფრიად საპატიო მიზანია.

დღეს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს მოშუშებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჭრილობა, თქვენს შესანიშნავ შემოქმედებასაც და მამულიშვილურ საქმიანობასაც კიდევ უფრო განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა.

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს და შევთხოვთ ღმერთს, მოგცეთ ძალა კვლავაც დაუღალავად ემსახუროთ ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*
**ილია II**
**8 ივნისი, 2015 წ.**

## კვლავაც მრავალ შემოქმედებით წარმატებას გისურვებთ

ბატონო გენო,

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს.

ფასდაუდებელია ის გარჯა, რომელსაც თქვენი შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობით ეწევით ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის, ქართველთა და აფხაზთა შორის ძმური კავშირის აღსადგენად, ახალგაზრდა თაობებში იმ ფასეულობათა დასამკვიდრებლად, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში განმსჭვალავდნენ ჩვენს კულტურასა და ისტორიას.

კვლავ მრავალ შემოქმედებით წარმატებას, დღეგრძელობასა და მხნეობას გისურვებთ.

პატივისცემით,
**გიორგი მარგველაშვილი**

**კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები

**● კორუმპირებულები ძირითადად ის ხალხია, ვისაც საკმაოდ დიდი ხელფასი აქვთ. არც ერთი უხელფასო და დაბალხელფასიანი, კორუფციაში შემჩნეული არასდროს არ ყოფილა!**

**● ქართული ტელესივრცის ვარსკვლავნი:**

**მერალ ოქაი, იალმურ თაილანი, დურულ თაილანი, ჰალით ერგენჩი, მერიემ უზერლი, ნებაჰათ ჩეჰრე, ნურ აისანი, ოქან იალაბიქი, სელმა ერგეჩი, მეჰმეთ გუნსური, ფილიზ აჰმეთი, დენიზ ჩაქირი, ვაჰიდე გორდუმი, ინგა გრიგოლია, ეკა ხოფერია, დუტა, ჯულიეტოვნა, მაია ასათიანი, ჯაჯანიძე, ჟორჟოლიანი...**

**● ნაცმოძრაობას და რესპუბლიკელებს საერთო ინკუბატორი რომ აქვთ, რომელსაც საია ჰქვია, ეგ სადაური წესია? — აქაური?**

**● ვახტანგ კაპანაძე — რუსეთი უნდა შეეგუოს, რომ საქართველოს თავისი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აქვს**
**11:29 09-06-2015**

**საქართველო უნდა შეეგუოს, რომ რუსეთს თავისი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აქვს და არ დაუშვებს, რომ მის ფანჯრებში** NATO **იჭყიტებოდეს.**

**● გიორგი მარგველაშვილი — ქართველი ხალხის არჩევანია, ნატოსთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს**
**22:11 08-06-2015**

მეტი რაღა უნდა გაღრმავდეს, შე კაცო, ბატონო პრეზიდენტო, — უფსკრულშია უკვე!

(ეს „კიდევ უფრო“ მკლავს, საბჭოთა „еще более срлотимся“-დან მოყოლებული და სადამდე „კიდევ უფრო“, შვილო გიორგი?!)

**● არ დამიწყოთ ახლა, „კრემლის აგენტი“ ყოფილხარ შენო!**

**ჰიტლერმა ერთი შეთანხმება დაურღვია სტალინს და „ბუნკერში“ ჩაჰყვნენ, სანამ თავი არ მოაკვლევინეს. ეს პუტინი კიდევ, ყოველდღე ერთ ადგილას იკიდებს ევროპის ქვეყნებთან დადებულ შეთანხმებებს, მაგრამ ფეხებს ვერ სჭამენ!**




**აქედან დასკვნა: ჰიტლერი „სუსტი“ ჩათლახი იყო, პუტინი „მაგარი“ ჩათლახია! მორალი რუსულად:** Против лома нет приема!

**● სამშაბათის საღამოს მონაცემებით საქართველოში ყველაზე სასურველი ქალების ტოპ-ორეული:**

**1. ადეიშვილის დედა.**
**2. გაბუნიას დედა.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

სპეკულაცია

# „სასამართლოს თავმჯდომარეთა უფლებამოსილების შეწყვეტა სხვა პროცედურით შეიძლებოდა განხორციელებულიყო“

**თეა წულუკიანი ამტკიცებს, რომ რაიონული მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების დასრულების შესახებ გადაწყვეტილება ვენეციის კომისიის რეკომენდაციით მიიღო. იუსტიციის მინისტრი ყოფილი თანაგუნდელის განცხადებას, თითქოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოსამართლეებს გაურიგდა, სპეკულაციას უწოდებს. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ამტკიცებს, რომ პარასკევს ბიძინა ივანიშვილთან რამდენიმე მოსამართლის, კერძოდ ლევან მურუსიძის, მიხეილ ჩინჩალაძის და ვალერი ცერცვაძის საიდუმლო შეხვედრა შედგა.**

ირაკლი ალასანია ამტკიცებს, რომ მოსამართლეები გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების შეჩერების სანაცვლოდ, ივანიშვილისთვის სასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანენ. ალასანიას განცხადებით, იგი ცდილობს ამ შეხვედრის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვოს.

ალასანიას ბრალდებას ბრალდებითვე პასუხობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე, რომლის განცხადებით, ალასანიას განცხადება სასამართლოზე ზეწოლის კლასიკური მაგალითია. მურუსიძე ამტკიცებს, რომ ყოფილ პრემიერთან არანაირი შეხვედრა არ შემდგარა. მისივე განცხადებით, საერთო სასამართლოების კანონში დაგეგმილი ცვლილებები ნინო გვენეტაძისა და იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის შეხვედრის შემდეგ შეჩერდა.

**„მოსამართლეების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებდა, რომ ეს კანონი იყო არაკონსტიტუციური, ამას ადასტურებდა ვენეციის კომისიაც, არასამთავრობო ორგანიზაციებიც, შემდეგ ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა უშუალოდ კონსულტაცია ქალბატონ იუსტიციის მინისტრთან, გააცნო სასამართლოს პოზიცია და აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები სხვა სახით შევა პარლამენტში“,** — აცხადებს ლევან მურუსიძე.

იუსტიციის მინისტრის მტკიცებით, საერთო სასამართლოების კანონში დაგეგმილი ცვლილება, რომელიც 25 რაიონული მოსამართლის ავტომატურ გათავისუფლებას ითვალისწინებდა, მისი გადაწყვეტილებით შეჩერდა, რაც ე.წ. კაბელების საქმესთან კავშირში არ არის.

**„არ ვიცი, რა ტიპის სპეკულაციებზეა საუბარი და ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ კაბელების საქმესთან. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და არავისი სხვისი, რომ ვენეციის კომისიის შენიშვნას დავეთანხმო. ეს არის კომისიის შენიშვნა და რაკი ქალბატონ ნინო გვენეტაძესაც ეს მოთხოვნა ჰქონდა, გადავწყვიტეთ, დავასრულებინოთ თავმჯდომარეებს თავიანთი უფლებამოსილების ვადა და შემდეგ ავირჩიოთ ახალი თავმჯდომარეები“,** — აცხადებს თეა წულუკიანი.

იუსტიციის მინისტრის კომენტარმა ყოფილ თანაგუნდელებს კიდევ უფრო გაუმყარა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება შედგა. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, **„ეს არის ხელისუფლების ძალიან უსუსური და წარუმატებელი მცდელობა იმისა, რომ ამ ბინძურ გარიგებასთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. ღიმილის მომგვრელია, რომ იუსტიციის მინისტრს პარასკევს, ღამის 12 საათზე გაახსენდა ვენეციის კომისიის შენიშვნები და ღამე გადაწყვიტა ამ შენიშვნების გათვალისწინება.**

**ფაქტი აშკარაა და არსებობს გამოთქმა, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“, ამიტომაც ხელისუფლების მთელი ვერტიკალის მცდელობა, რომ მიჩქმალეს ეს წარუმატებელი და კრახისთვის განწირულია“.**

საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის გია მეფარიშვილის განცხადებით აღმასრულებელ ხელისუფლებაში კანონშემოქმედებით საქმიანობას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი, რომელსაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს სასამართლოს რეფორმის საკითხები. რაც შეეხება რაიონული მოსამართლეებისათვის უფლებამოსილების დასრულების საკითხს, მეფარიშვილი ამბობს:

**„მე გახლავართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ზუსტად იმ სასამართლოს შემადგენლობას, რომელსაც ვხელძღვანელობდი, განხილული აქვს საქმე — „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ეს სარჩელი ეხებოდა მოსამართლეების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას საკანონმდებლო დონზე.**

**ორგანულმა კანონმა საერთო სასამართლოების შესახებ მიზანშეწონილად ჩათვალა და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოსამართლეებს ჩაებარებინათ გამოცდები და შემდეგ გამწესებულიყვნენ თანამდებობაზე. მაშინ, ასეთი გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომ არ შეიძლებოდა მოსამართლეებს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეწყვეტოდათ უფლებამოსილება თუ არ იქნებოდა კანონით განსაზღვრული შემთხვევები“.**

რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეების ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, მეფარიშვილის განცხადებით, მოსამართლის და სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება ერთმანეთს არ ემთხვევა. მოსამართლე საპროცესო ფიგურაა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებაში ღებულობს მინაწილეობას. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეს, ეს არის მენეჯერული ფუნქცია, შესაბამისად, უფლებამოსილების შეწყვეტაც სულ სხვა პროცედურით შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

**თამთა ქარჩავა**



გამოცდილება



# „საქართველოში ესტონური მოდელის დანერგვა საკმაოდ წაახალისებს ბიზნესს“

**ბიზნესი მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას ითხოვს. ბიზნესმენები ირწმუნებიან, რომ ეს ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას სერიოზულ ბიძგს მისცემს. ამ გადასახადის საბოლოო გაუქმებამდე, მისი ეტაპობრივად შემცირების ინიციატივით გამოდის „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, საქართველომ უნდა გააგრძელოს დაბალი გადასახადებისა და დაბალი ბიუროკრატიის პოლიტიკა, რომელიც სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ხელშემწყობი ფაქტორი იქნება. 2015 წლის გეგმის თანახმად, მოგების გადასახადიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 900 მილიონი ლარის შესვლაა განსაზღვრული. შესაბამისად, ამ გადასახადის გაუქმება ხელისუფლების მიერ დამატებითი რესურსების მოძიების, სხვა არხების გამოძებნის აუცილებლობას იწვევს. ამ ეტაპზე კი მთავრობა მოგების გადასახადის გაუქმებას არ ჩქარობს. როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მოგების გადასახადის გაუქმებაზე მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა მისი პირდაპირ გაუქმება არ მოხდება. ნოდარ ხადურის თქმით, ხელისუფლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ესტონურ მოდელს განიხილავს და ზუსტ საგზაო რუკას სექტემბრისთვის წარადგენს.**

**რას ითვალისწინებს ესტონური მოდელი და რას ურჩევენ ხელისუფლებას ექსპერტები — ამ საკითხებზე bpn.ge ეკონომიკის საკითხებში ექსპერტებს ესაუბრა.**

როგორც ექსპერტი **ლევან კალანდაძე** აცხადებს, ე.წ. ესტონური მოდელი თავად მოგების გადასახადის გაუქმებას, მაგრამ მეპაიეების, აქციონერების, დამფუძნებლების მიერ კომპანიების საქმიანობიდან მიღებული დივიდენდის დაბეგვრის პრაქტიკის შემოღებას ითვალისწინებს, ანუ ამ შემთხვევაში მიდგომა კონცეპტუალურად იცვლება. ლევან კალანდაძის განმარტებით, კომპანია, როგორც მოგების გენერატორი, ანუ მიმღები, მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრება, მაგრამ დაიბეგრება იმ ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების შემოსავალი, რომელიც ამ კომპანიების საქმიანობისგან მიღებული მოგებიდან დივიდენდებს მიიღებენ. **„პრინციპულად და კონცეპტუალურად ეს არის საკმაოდ კარგი და სწორი მიდგომა, რადგან ეს მოდელი, პრაქტიკულად, უბიძგებს კომპანიებს და ახალისებს, რომ რაც შეიძლება დიდი მოგება მიიღონ, რომ მოგებასა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა აწარმოონ იმ დათქმით, რომ მათ ეს მოგება არ დაებეგრებათ. შესაბამისად, კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ხდება მოგების აღრიცხვა და კომპანიამ წინასწარ იცის, რომ აპრიორი მისი მოგება არ დაიბეგრება. რაც შეეხება აქციონერების, დამფუძნებლების მიერ დივიდენდის მიღებას, ეს უკვე დაბეგვრის რეჟიმში გადადის და უფრო საშემოსავლო ტიპის გადასახადია, ვიდრე მოგების გადასახადი“,** — განაცხადა კალანდაძემ.

მისივე შეფასებით, ეს განვითარებასა და ზრდაზე ორიენტირებული მოდელია, რომელიც თავისთავად კომფორტულია ბიზნესისთვის. **„აბსოლუტურად ვიზიარებ და ვეთანხმები, რომ საქართველოში ესტონური მოდელის დანერგვა საკმაოდ წაახალისებს ბიზნესს, ხელს შეუწყობს განვითარების თვალსაზრისით, ასევე დადგენილი და უზრუნველყოფილი იქნება გარკვეული სამართლიანობის პირინციპი, რადგან უხეშად რომ ვთქვათ, სახლში წაღებული ფული ანუ აქციონერის მიერ მიღებული დივიდენდი ხდება დაბეგვრის ობიექტი და არა ის, რომ კომპანიამ მიიღო მოგება. ამავდროულად, ეს ხელს უწყობს თავად კომპანიის ზრდაზე ორიენტირებული პირობების შექმნას, რადგან მოგება, რომელიც გამოიყენება რეინვესტირებისთვის და არა აქციონერის მიერ სახლში წასაღებად, ბუნებრივია, არ უნდა იბეგრებოდეს, ანუ თავად პრინციპი არის სწორი“,** — განაცხადა კალანდაძემ.

კითხვაზე — რამდენად რთული იქნება ამის ადმინისტრირება, ლევან კალანდაძის თქმით, გარკვეული დაშვება, ბუნებრივია, არსებობს, თუმცა დღეს საგადასახო სისტემა აღრიცხვა-ანგარიშგების თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალ დონეზეა. **„ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილში, შემოსავლების სამსახურსა და ფინანასთა სამინისტროს დასჭირდება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს მყისიერად არ უნდა მოხდეს და 3-წლიან პერიოდზე მაინც უნდა იყოს გათვლილი, მგონია, რომ პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც ამ 3-წლიანი პერიოდის თანმდევი პროცესი, მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩატარდება“,** — აღნიშნა ლევან კალანდაძემ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **აკაკი ცომაია** მოგების გადასახდის გაუქმებას მიესალმება. როგორც ექსპერტმა განაცხადა ესტონური მოდელი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. მისი თქმით, მთელი რიგი რეფორმებია გასატარებელი. ეს მარტო მორების გადასახადს არ ეხება, ბევრი სხვა საკითხია მოსაგვარებელი იმისთვის, რომ ზოგადად ესტონურ მოდელზე ვისაუბროთ. **„ეს პირველ რიგში, გულისხმობს სასამართლო სისტემის რეფორმას. ყველაზე მთავარი სუსტი წერტილი საქართველოს ეკონომიკაში არის კერძო საკუთარების უფლება და სასამართლო, რომელიც არანაირ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს დღეს საქართველოში. აქედან გამომდინარე, როცა საუბრობენ ესტონურ მოდელზე, მისი მთავარი წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ამ ქვეყანაში სასამართლო რეფორმა ძალიან კარგად გატარდეს“,** — აღნიშნა ცომაიამ.

რაც შეეხება იმას, რომ მოგების ის ნაწილი, რომელიც რეინვესტირებას მოხმარდება არ დაიბეგრება, აკაკი ცომაია აცხადებს, რომ ამის ადმინისტრირება რთული იქნება. **„ცოტა რთულია იმის ადმინისტრირება და დადგენა, თუ რა არის გაუნაწილებელი მოგება და რა. სჯობს, მოგების გადასახადი ან შემცირდეს საერთო ჯამში, ან უკეთეს შემთხვევაში — გაუქმდეს“,** — აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

**ნათია რუხაძე**

### უხერხული რეალობა

# მდიდრებმა ღარიბები აშკარად დაჯაბნეს

**ზაფხულის ამ ცხელ-წვიმიან დღეებში, როცა თავისუფალი სტილით მცურავმა ეროვნულმა ვალუტამ ქვეყნის ღატაკ მოსახლეობას ბოლო გროშების წასართმევად ჩამოუარა, ღარიბებთან ერთად რატომღაც მდიდრებიც გამახსენა. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა გამხსენებოდა, ისინი მართალია, ცოტანი არიან, მთელი საზოგადოების სულ რაღაც 5-7 პროცენტი, მაგრამ მაინც ხომ არიან? ნუ ვიქნებით უმადურნი, მათ ის ჩაგვრა და უუფლებობაც ეყოფათ, რაც სოციალისტური წყობილების პირობებში გადაიტანეს.**

არაფერს ვაჭარბებ, კომუნისტებმა მდიდრებს სოციალური თავმოყვარეობა შეულახეს. მათ არ შეეძლოთ არა თუ ეტრაბახათ თავიანთი ქონებით, არამედ საერთოდ გამოეჩინათ იგი. ამიტომ სულ მალავდნენ და ჩქმალავდნენ, ფული ჰქონდათ და გუნებიერად ვერაფერს ყიდულობდნენ, ოქრო ჰქონდათ და მიწაში ფლავდნენ. მახსოვს, ერთხელ ვიღაც მდიდარი პარტოკრატის ბინა გატეხეს, საიდანაც, როგორც მაშინ



ამბობდნენ, დიდძალი ფული და ოქროულობა წაიღეს. რა თქმა უნდა, მილიცია ფეხის წვერებზე დადგა და დამნაშავე დააკავა. იგი მაშინვე გამოტყდა, სასამართლოზეც აღიარა დანაშაული, მაგრამ ვერაფრით გამოტეხეს თვით დაზარალებული ბინის პატრონი: ეგ ვიღაც თახსირი ქურდი სულ ტყუილს ლაყბობს, მთელი ჩემი ცხოვრება ხელფასზე ვიჯექი და მაგდენი ოქროულობა საიდან უნდა დამეგროვებინაო(!).

ეს მაშინ, მაგრამ რა ხდება დღეს?

დღეს სულ სხვა ცხოვრება წამოვიდა. კომუნიზმს, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ და დემოკრატიას ვაშენებთ, რომელსაც უყვარს მდიდრები და არ უყვარს ღარიბები. ყოველ ადამიანს, იქნება ეს მეწარმე, დეპუტატი თუ ჩინოვნიკი, მინისტრი თუ პრეზიდენტის ნათესავი, შეუძლია, ჩადგეს უკანონო ბიზნესში, უოფლოდ და უშრომლად დააგროვოს ცხოვრება-ქონება, მილიონები და მილიარდები, აიშენოს ოფისები და სასახლეები. რაც მთავარია, მათ აღარ ეშინიათ საკუთარი სიმდიდრისა, არა თუ ეშინიათ, მოვალენიც არიან, დეკლარაციაში განაცხადონ, რა ქონების პატრონნი არიან, რა რაოდენობის თანხები მიიზიდეს ამ ქონების შექმნაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ უცხოური ინვესტიციებიდან.

შიშის ძველი კომპლექსი, — რა ვიცი, რა მოხდება! — სამუდამოდ გაქრა.

ამ მხრივ განსაკუთრებით უზომოდ უშიშარნი (ვითარცა უხორცო) აღმოჩნდნენ წინა ხელისუფალნი, ეგრეთწოდებული ნაცებად მონათლული უთოფო ყაჩაღები, რომელთაც თავიანთი მმართველობის წლებში ქვეყნის რეფორმირებისა და კორუფციის ამოძირკვის მოტივით, უოფლოდ და უშრომლად, არა თუ მილიონები, მილიარდობით ქონება დააგროვეს. თუმცა, თუ გვინდა, რომ უმადურობაში არ ჩამოგვართვან, „დამსახურებაც“ არ უნდა დავუკარგოთ. აი, თუნდაც იმ „მეთოდოლოგიისთვის“, რომელიც მათ ფულის ამოსაქაჩად მსხვილ ბიზნესმენებთან „მეგობრობით“, ხოლო შედარებით წვრილებთან — დაჭერებითა და დაყაჩაღებით გამოიყენეს. შედეგსაც საუკეთესოს გამოკრეს ხელი. იმ წლებში უამრავმა ბიზნესმენმა საკუთარი ქონება „საკუთარი ხელით“ საჩუქრად გადასცა სახელმწიფოს, ანუ ნაცების ბანდას.

ხალხს რას გამოაპარებ, რაც უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, ამ უკანასკნელმა ნაცების წარმატებული ლაშქრობა კორუფციის ასალაგმად, ელიტური კორუფციის აყვავებად მიიჩნია, ცალკეულ ბიზნესმენთა დანამუსება (პირადი საკუთრების ჩუქება სახელმწიფოსთვის) კი — თავად ნაცების უნამუსობად და ისინი, როგორც კორუმპირებული და უნამუსო ხელისუფალნი, 2012 წლის არჩევნების მეშვეობით, ქვეყნის მმართველობიდან მოისროლა.

მეოცნებეთა კოალიციურმა ხელისუფლებამ ნაცბანდა ქვეყნის მმართველობიდან კი მოისროლა, მაგრამ დაპირება, რომ საქართველოში უსამართლობას ერთხელ და სამუდამოდ ამოძირკვავდა და ქონებაწართმეულ ხალხს საკუთრებას დაუბრუნებდა, ერთეული გამონაკლისების გარდა, დღემდე ვერ შეასრულა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლით ხალხმა იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველება, ივანიშვილს იმდენი ცხოვრებ-ქონება აქვს, ჩვენსას არაფერს წაიღებს, პირიქით, აქეთ მოგვეხმარება და არც სხვებს მისცემს უფლებას, სახელმწიფო სახსრებში ხელები აფათუროსო. ასე კი ფიქრობდნენ, მაგრამ იმედი არც თუ მთლად გაუმართლდათ. ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემია-დანამატების გამოწერაზე გადავიდნენ. ცალკეულმა ჩინოვნიკებმა, როგორც ავიენები ამბობენ, არც ნაცების ნასუფრალზე წილში ჩაჯდომა ითაკილეს. იმის თაობაზე, თუ ამ „მეთოდით“ ქვეყანას ვინ რა ოდენობის თანხა წაგლიჯა, უამრავჯერ ითქვა და დაიწერა და აღარ გავიმეორებ. ერთს კი დავამატებ, ხალხზე ფიქრის ნაცვლად საკუთარ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნვის ავადმყოფობა „ოცნების“ მთავრობას წინა მთავრობისგან, როგორც ჩანს, მემკვიდრეობით გადმოჰყვა.

ეს იგრძნობა როგორც ივანიშვილის ავტორობით შექმნილ მთავრობაში, ისე ხალხის მიერ არჩეულ საკანონმდებლო ხელისუფლებაში — პარლამენტში, სადაც ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველ პოლიტიკოსთა შორის ბევრი მილიონერია. ერთი მათგანი, დავით ბეჟუაშვილი უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია. მისი ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ის 1994 წლიდან ოფშორულ ზონაში მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზე ინდუსტრიულ ჯგუფს ფლობს. ამ ჯგუფის საკუთრებაა 8 ჰიდრო და თბოელექტროსადგური, შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის საბადოებს ფლობს და სხვა მრავალი, რაც რიგითი ქართველისთვის ბევრი არაფრის მთქმელია. მისთვის უფრო საინტერესოა, დავით ბეჟუაშვილმა ქონება, რომელიც დაუზუსტებელი ინფორმაციით 1 მილიარდი დოლარის ტოლია, რა გზებით მოიპოვა. ასევე, საინტერესოა, მაჟორიტარი დეპუტატის ოქრიაშვილის ქონება, რომელსაც მარტო ამ ფირმიდან წლიურად 6 მილიონი დოლარის შემოსავალი აქვს და ლარის კურსის ყოველ შემოქროლვაზე წამლებს „უპრაგონოდ“ აძვირებს.

ამ წერილში ორი დეპუტატის ქონება გავიხსენე, თორემ ისე პარლამენტში მეტი თუ არა, ათი პოლიტიკოსი მაინც მოიძებნება (კობა ნაყოფია, გოგი თოფაძე, ვალერი გელაშვილი, ზურაბ ტყემალაძე და სხვანი), რომელთა ქონება ასეულ მილიონ დოლარს აჭარბებს. რაც უნდა უხერხულად მოგვეჩვენოს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მდიდრებმა, რომელთა უმრავლესობას სახელისუფლებო შტოს პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები წარმოადგენენ, აშკარად დაჯაბნეს სიღარიბე და ღარიბები. თუმცა, სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ არც ღარიბნი ამა ქვეყნისანი არიან მთლად ხელმოცარულნი. მათ, როგორც დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებს, უფლება აქვთ — მოაწყონ აქციები, გადაკეტონ ქუჩები, მოითხოვონ სამუშაო, მათხოვრული პენსიებისა და ხელფასების გაზრდა და თუ საჭიროდ ჩათვალეს, ცხოვრება-ქონებით გაზულუქებული მთავრობის გადაყენებაც კი.

ხალხი ამ უკიდურესობამდე რომ არ მივიდეს, ზოგი ექსპერტი და მეცნიერი ეკონომისტი თვლის, რომ საჭიროა, შემოვიღოთ ბევრ ევროპულ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, სკანდინავია) დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც დიდი შემოსავლის მქონე პიროვნებები იბეგრებიან უფრო მეტი თანხით, ვიდრე ნაკლებშემოსავლიანები. ისინი კონკრეტულ ციფრებს წინასწარ ვერ ასახელებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, თუ პირის შემოსავალი არის, ვთქვათ, 5 ათას ლარზე ნაკლები, ის შეიძლება, დაიბეგროს 20 პროცენტით, თუ არის 10 ათასი, ნამეტი 5 ათასი დაიბეგროს არა 20, არამედ 25 პროცენტით და ასე შემდეგ. მათი აზრით, ეს შექმნის ბიუჯეტში ჭარბ შემოსავალს და ხელს შეუწყობს გათანაბრებას — შემოსული ზედმეტი თანხა გადანაწილდება დანარჩენ მოსახლეობაზე, რაც, თავის მხრივ, ბიძგს მისცემს ქვეყნის განვითარებას. ის ქვეყანა, რომელსაც არ ჰყავს მსყიდველუნარიანი მოსახლეობა (ასეთია დღეს საქართველო), ვერასოდეს განვითარდება.

ვერ გეტყვით, რამდენად უზრუნველყოფს შემოსავლების დიფერენცირებული დაბეგვრა ხალხის კეთილდღეობის ზრდას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ქართველ ხელისუფალთა მადა, რომელიც ვერა და ვერ დანაყრდა, რომ გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობა, ეს ცხადზე უცხადესია. ვითომ არსებობს იმის გარანტია, რომ, თუ ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვა, მეოცნებეებზე ნაკლები მადის პატრონი იქნება?! ამის გარანტია კარგის მომლოდინე ხელისუფლებამ კი არა, თავად ხალხმა უნდა შექმნას.

**ოთარ ხუციშვილი**

### ალიან-ჩალიანი

## უცხოელები აჭარის კურორტებით ინტერესდებიან

**აჭარის** ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, უნგრელი ჟურნალისტები აჭარის შესახებ სტატიებს აქვეყნებენ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, მარტის თვეში, საქართველოში უნგრული მედიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

„უნგრეთის ტურისტულმა ბაზარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც 2014 წლის ოქტომბრის თვიდან გაიხსნა ფრენები ქუთაისი-ბუდაპეშტის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებები უნგრეთის მიმართულებით გააქტიურებულია“, — აცხადებენ დეპარტამენტში. მათივე თქმით, უნგრელი ჟურნალისტებისათვის ჩატარებული საინფორმაციო ტური მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. „ეტაპობრივად, ზაფხულის სეზონის მოახლოებამდე, უნგრეთის ბეჭდურ და ონლაინ საშუალებებში საქართველოს, ისევე როგორც მისი ულამაზესი ზღვისპირა რეგიონის — აჭარის შესახებ მრავალი სარეკლამო ხასიათის სტატია დაიბეჭდა. წამყვანი მედიის 8 სხვადასხვა პორტალსა და ჟურნალში 10-ზე მეტი სტატია მიეძღვნა შავი ზღვის ულამაზეს ქალაქს — ბათუმს, მის ღირსშესანიშნაობებს, აჭარული სამზარეულოს ტრადიციებსა და ღვინოს“, — განაცხადეს დეპარტამენტში.

* * *

**ყაზახეთის** მე-7 არხმა აჭარასა და ბათუმს ვრცელ სიუჟეტი მიუძღვნა.

სიუჟეტში ჟურნალისტი მაყურებელს აჭარის მთის, ჩანჩქერების, ზღვისა და უნიკალური ღირშესანიშნაობების მიმზიდველობაზე ესაუბრება და რეგიონს არამარტო ზაფხულში, არამედ წლის ნებისმიერ სეზონზე საინტერესო ტურისტულ დესტინაციად მიიჩნევს. უგემრიელესი აჭარული ხაჭაპურის დაგემოვნებასთან ერთად, ჟურნალისტი მაყურებელს მთიან აჭარაში სტუმრობასაც ურჩევს. „აჭარაში სასტუმროების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, უმჯობესდება სერვისი. აქ თავს უსაფრთხოდ გრძნობ, რადგან საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო პოლიცია და კეთილგანწყობილი ხალხია...“ დეპარტამენტის განცხადებით, აჭარის პოპულარიზაციას მიეძღვნა ასევე ორი ვრცელი სიუჟეტი ყაზახეთის 1 არხის ნაციონალური ტელევიზიის გადაცემებში, სადაც ჟურნალისტები მაყურებელს თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ და არდადეგების გატარებას ბათუმში ურჩევენ. დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ტელევიზიების გადამღები ჯგუფები ბათუმში 11-15 მაისს, მედიატურის ფარგლებში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოწვევით იმყოფებოდნენ. გარდა სატელევიზიო სიუჟეტებისა, ზაფხულის ცხელ სეზონამდე უკვე გამოქვეყნდა სტატიები ყაზახეთის წამყვან ბეჭდურ და ონლაინ მედიაში.




## მცხეთაში იუსტიციის სახლს ვერ აშენებენ

**კულტურული** ფასეულობების დაცვისა და აღდგენის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის (ICCROM), აგრეთვე, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მონიტორინგის მისიამ მცხეთის იუსტიციის სახლის პროექტის თაობაზე საკუთარი რეკომენდაციები წარმოადგინა.

მონიტორინგის მისიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, მცხეთის ურბანული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი ნებისმიერი სახის (მათ შორის, ახალი იუსტიციის სახლის) მშენებლობაზე; განსაკუთრებით კი, ეს მცხეთის ისტორიულ ნაწილს ეხება.

ICCROM-ისა და ICOM-ის მონიტორინგის მისიამ მდინარე არაგვის ლანდშაფტის ზონაში ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით შემდეგი რეკომენდაციები წარმოადგინა: დაუყოვნებლივ შეწყდეს ყველა სამშენებლო საქმიანობა; გაგრძელდეს არაგვის სანაპირო ზოლზე რეკრეაციული ზონების გაშენება და ტერიტორიის გამწვანება; მდინარე არაგვის გასწვრივ დაგეგმილი ყველა მშენებლობის (მათ შორის, რეკრეაციული ზონების გაშენების) პროექტი წარედგინოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრს შემდგომი განხილვისათვის.

„იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მისია მიიჩნევს, რომ მცხეთაში ახალი იუსტიციის სახლის მშენებლობის განხორციელება მხოლოდ ამის მერე და ამ რეკომენდაციების საფუძველზე იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ „იუნესკოს“ მოთხოვნა იუსტიციის სამინისტრომ ერთხელ უკვე გაითვალისწინა და სვეტიცხოველთან ახლოს იუსტიციის სახლის მშენებლობა დააკონსერვა.

**ინტერპრესი**

№106. ხუთშაბათი, 11 ივნისი, 2015 წელი.




# მონური მორჩილება და დემოკრატია?!

## ზოგიერთი რამ ბავარიული „დიდი შვიდეულის“ სამიტზე

**წუთში 200 ათასი ევროს ხარჯი, აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ათასკაციანი ამალა, 20000 გერმანელი პოლიციელი, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს მრავალრიცხოვან შვეულფრენებთან ერთად უზრუნველყოფდა ბავარიაში გამართული „დიდი შვიდეულის“ უსაფრთხოებას — აი, ის მნიშვნელოვანი მომენტები, რითაც დაგვამახსოვრდება „დიდთა“ ბოლო სამიტი. შინაარსი? — იკითხავს მკითხველი. შინაარსიც იყო — მოკრძალებული, სრულიად შეუფერებელი ძლიერთა ამა ქვეყნისათვის.**

სამიტის დასასრულს გერმანიის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შტაინმაიერი იტყვის წინადადებას, რომლის არსი ასეთია — **მომავალ სამიტს თუ არ დაესწრება რუსეთი, სამიტი დაკარგავს მნიშვნელობას**. გერმანიის ყოფილი კანცლერი შმიდტი კი მიიჩნევს, რომ ოჯახურ „ჭუკჭუკში“ (ჩემეული განმარტებით) თუ სხვებიც არ მიიღებენ მონაწილეობას, სამიტის არსებობას აზრი აღარ ექნება.

მაინც ვის მოიაზრებს გერმანიის ექსკანცლერი უმაღლეს სამიტში? უპირველეს ყოვლისა, რუსეთს, შემდეგ ჩინეთსა და ინდოეთს, შემდეგ სამხრეთ აფრიკას, ბრაზილიას და, ა.შ. ერთი სიტყვით, ყველა იმ ქვეყანას, რომლის წვლილი მსოფლიო ეკონომიკაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პოლიტიკაში თვალსაჩინოა. მაგრამ ამ ქვეყნების დამატებით „დიდი შვიდეული“ ხომ „დიდ თოთხმეტეულად“ გადაკეთდება და არსებულ „დიდ ოცეულამდე“ 6 ქვეყნის დამატებაღა იქნება საჭირო?!

ასეა თუ ისე, ბავარიულმა სამიტმა მრავალი თავსატეხი გააჩინა, მათ შორის — ფორმატთან დაკავშირებით, რომლის გაუთვალისწინებლობა „დიდი შვიდეულის“ მიერ წარუმატებლობის საწინდარი იქნება.

დიახ! რუსეთი უკვე მეორედ არ დაასწრეს სამიტს, ანუ „რვიანის“ ფორმატს, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის ბორის ელცინის პატივსაცემად შემოღებულს. ის ისევ ძველ ფორმატს „დიდ შვიდეულს“ დაუბრუნეს.

ვითომ რა დიდი დამსახურება ჰქონდა ელცინს ან იმჟამინდელ რუსეთს, „დიდ შვიდეულში“ მერვე წევრად რომ შეიყვანეს? — იკითხავს მავანი. არც თავისი ეკონომიკური პოტენციალით და არც დემოკრატიის ხარისხით მაშინდელი რუსეთი ვერ აკმაყოფილებდა „დიდი შვიდეულის“ პარამეტრებს, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო დასავლეთის დუდუკზე აცეკვებული ელცინი და რუსეთი, და რაც მთავარია, რუსეთის მხრიდან საერთაშორისო არენაზე მეორე-მესამეხარისხოვანი როლის შესრულებაზე თანხმობა.

აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის მამა ბუშის მიერ ელცინისთვის შეთავაზებული „ჩეინჯი“ დასავლეთისთვის წარმატებული გამოდგა — ამბიციებდაკმაყოფილებული, მაგრამ დაკოდილი რუსეთის სახით. იმჟამინდელ რუსეთს, დასუსტებულს და მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში მოქცეულს, ნაკლებად შესწევდა ძალა „დიდ რვიანად“ გადაკეთებულ სამიტში რაღაც ისეთის დაყენების, რაც სერიოზულ თავსატეხს გაუჩენდა ძველი „შვიდეულის“ წევრებს.

თავსატკივარი პუტინის გამოჩენას მოჰყვა. ფეხზე წამომდგარმა პუტინისეულმა რუსეთმა, საკუთარი გაბარიტებიდან გამომდინარე, მოითხოვა და მოითხოვა ომახიანად, არა ისე, როგორც ელცინის დროს. პუტინი „დიდი რვიანის“ ყველა სამიტზე ისეთ წინადადებებს აყენებდა, რაც უდავოდ აღელვებდა მსოფლიოს, მაგრამ ნაკლებად, გამძლარ „შვიდეულს“. პუტინის „რვიანობა“ თავსატკივარი იყო „შვიდეულისთვის“, ვინაიდან აიძულებდა მას, რეალობის გათვალისწინებით, და არა საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე, ემოქმედა.

ბავარიული სამიტის დასრულებისთანავე გამართულ პრეს-კონფერენციაზე მასპინძელმა ანგელა მერკელმა ბრძანა - „სამიტი ჩატარდა ვნებათა ღელვის, დაპირისპირების გარეშეო“. ამ განცხადებით მან მიგვანიშნა - პუტინი რომ ყოფილიყო, კამათი უდავოდ იქნებოდა.

დიახ! ორი დღის განმავლობაში სამიტის მონაწილე ქვეყნების ლიდერებმა გულახდილად „იჭუკჭუკეს“ და თავი აარიდეს ისეთ უხერხულ თემასაც, როგორიცაა აშშ-ის მხრიდან მოკავშირეთა სატელეფონო თვალთვალი, განსაკუთრებით კი გერმანიის მიმართ გამოვლენილი ელექტრონული „შპიონაჟი“.

თემა „შპიონაჟი“ არახალია, მაგრამ „დიდი შვიდეულის“ სამიტამდე მან ისეთ კულმინაციას მიაღწია, რომ პრეზიდენტმა ობამამ არაორაზროვნად თქვა, თუ სამიტზე გერმანელები გულისწყრომას გამოავლენენ, ის სამიტს არ დაესწრება. მერკელმა გაითვალისწინა ოკეანისგადაღმელი „პარტნიორის“ ულტიმატუმის მაგვარი სულისკვეთება და ისე ჩაიკმინდა ხმა, არათუ ამერიკელთა არაკორექტული ქმედება, არამედ სხვა მისი მსგავსიც დაივიწყა.

სამიტზე ყველა იყო ერთსულოვანი უკრაინასთან დაკავშირებით. ანუ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები არ მოიხსნება, ვიდრე უკრაინის აღმოსავლეთში არ შეწყდება დაძაბულობა; არ შესრულდება „მინსკის“ მოთხოვნის ყველა პუნქტი.

რუსეთი დარჩა ისე, როგორც წინა სამიტზე - აგრესორის სტატუსით. რუსეთის ხელისუფლების რეაქცია იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმეს ეს არ უშველის, ვინაიდან უკრაინის სახით დასავლეთმა, კერძოდ აშშ-მა, ნამდვილი ანტირუსული პლაცდარმი შექმნა, რომელზეც მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა. ერთი სიტყვით გაყავისფერებული (ფაშისტური) უკრაინა, უკრაინის არმიის მიერ დონეცკ-ლუგანსკის დაბომბვა, სამხრეთ-აღმოსავლეთში სისტემატური ტერორისტული აქტების განხორციელება, რუსულენოვანთა დევნა და ა.შ. სულაც არ აღელვებს დასავლეთს, ვინაიდან უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება აშშ-ის შექმნილია. აქედან გამომდინარე, უკრაინა ყოველთვის იქნება „თეთრი“, რუსეთი — „შავი“.

მარტო უკრაინის საკითხის განხილვა რომ ყოფილიყო „დიდი შვიდეულის“ სამიტის თემა — ურუსეთოდ შეუძლებელი იყო, ისე, როგორც ახლო აღმოსავლეთის, სირიის, ირანის ბირთვული პროგრამის, სხვა გლობალური თემების. თანამედროვე მსოფლიო საკითხები იმდენადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ რუსეთის გამოთიშვა კარგს არაფერს მოიტანს.

ვერც მოიტანა. „ეს, ის საკითხებია, რუსეთთან ერთად რომ უნდა გადავწყვიტოთო“, — ბრძანა მასპინძელმა მერკელმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. და უკრაინას მიაყოლა ახლო აღმოსავლეთის, სირიის, ირანის, იემენის საკითხები, ენერგეტიკა და ა.შ. გამოდის, რომ ამ თემებზე „იჭუკჭუკეს“, მაგრამ რუსეთის დაუხმარებლად ვერ გადაწყვიტეს. „სხვა ფორმატებში გადავწყვიტოთო“, — ბრძანა მერკელმა. რაღა სხვა! არ ჯობდა „რვიანის“ ფორმატში?

ის, რომ რუსეთი სამიტზე არ მიიწვიეს - დახავსებული პოლიტიკაა და ხელს უწყობს სეპარატიზმს. იმისთვის, რომ ე.წ. ჯიუტმა პუტინმა გაიზიაროს დასავლური იდეები, ლაპარაკია საჭირო და არა იზოლაციაში მოქცევა, გარიყვა. ცივილიზაციათა დიალოგს უფრო მეტი შედეგი მოჰყვება, ვიდრე ცივილიზაციათა დაპირისპირებას. სწორედ ამ დაპირისპირებამ გამოიწვია რუსეთის მოსახლეობის აგრესიული დამოკიდებულება ყოველგვარი დასავლურის მიმართ. რუსეთში ჩატარებული საყოველთაო გამოკითხვების მიხედვით რუსი ამერიკელს ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს.

არადა, მსოფლიო პრობლემების დასაძლევად ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ერთობლივი მოქმედება კი საყოველთაო სიძულვილის ფონზე შეუძლებელია.

37 წლის წინათ ირანის ისლამური რევოლუციის მთავარმა შემოქმედმა აიათოლა ხომეინიმ ბრძანა: „ცივილიზაციათა დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე“, მაგრამ ვერაფერს გახდა ევროატლანტიკურ ყრუ კედელთან. მოგვიანებით, ირანის პრეზიდენტმა ხათამიმ გაიმეორა დიდი აიათოლას ნათქვამი და მას რელიგიათა დიალოგიც დაუმატა. ისევ, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ნაცვლად ამისა ეკონომიკური სანქციები, ზღვასავით უკიდეგანო, ქვეყნისთვის დამანგრეველი, არა მარტო ნიშანში ამოღებულისთვის, არამედ ყველა იმისთვის, ვისაც „ნიშანში ამოღებულთან“ ჰქონდა საქმე.

რუსეთს დაუწესეს სანქციები, მაგრამ რუსეთმაც დააწესა დამწესებელთა მიმართ. საერთო ჯამში დაზარალდა ორივე. ანალოგიური რამ მოხდა ირანის მიმართაც, გაცილებით ადრე, ვიდრე რუსეთის წინააღმდეგ. სანქცირებულ ირანს გაუჭირდა, მაგრამ გაუძლო შემოტევებს და მაინც გამარჯვებული გამოვიდა. ამ თვის ბოლოს დასრულდება ირან-„ექვსეულის“ მოლაპარაკება (გაეროს 5 მუდმივი წევრი და გერმანია) და როგორც სანდო წყაროები ამბობენ, გაუქმდება ანტიირანული სანქციებიც.

რას მიაღწიეს აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ირანის საწინააღმდეგო სანქციებით? იმას, რასაც ჰქვია ეკონომიკის განვითარების შეფერხება — თუმცა დროებით. აშშ, რომელიც საკუთარ თავს დემოკრატად და ადამიანის უფლებათა დამცველად მიიჩნევს, მზადაა, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ პოლიტიკურ ოპონენტს დაუწესოს სანქციები, სანქციები, რომლებიც საბოლოო ჯამში მკვეთრად აუარესებს სანქცირებული ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ყოფას ანუ ადამიანის უფლებებს. რა გამოდის? ადამიანის უფლებების მებაირაღე ქვეყანა, თვით არღვევს ადამიანის უფლებებს? ვაგლახ, რომ ასეა!

გარდა ამისა „დემოკრატი“ აშშ მზაკვრულად ცდილობს სანქციებდამძიმებული მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანას და არასასურველი ხელისუფლების დამხობას. რა გამოვიდა.

ყველა მხრიდან ალყაში მოქცეული „სანქცირებული“, თავის თავში ეძებს რეზერვებს და ცდილობს თავი გაართვას შემოტევებს.

სიტყვა „წარმატებით“ ნაკლებად გამოხატავს იმ რეალობას, რასაც „სანქცირებულ“ ირანში ჰქონდა და აქვს ადგილი. ირანის ხელისუფლებამ, ხალხმა გადალახეს შიშის პრობლემა, გაუძლეს შემოტევას, მათ შორის 8-წლიან ომს და ისეთად მოგვევლინენ, თქვენი მოწონებული. სანქცირებულმა ირანმა თვით დაიწყო ყოველივე იმის კეთება, რასაც ადრე უცხოეთში ყიდულობდა. კბილის პასტიდან დაწყებული, სხვადასხვა რადიუსით მფრინავი საბრძოლო რაკეტებით დამთავრებული — 80-მილიონიანი ირანი ყველაფერს ამზადებს. ამზადებს ხარისხიანად, უზადოდ.

გადით თბილისის ბაზრობაზე და იკითხეთ, რომელი ქვეყნის სანტექნიკა ან სხვა საქონელი არის გამძლე, თან სარფიან ფასებში და უმალ დაგისახელებენ ირანულს-რუსულთან ერთად. რეკლამა არ სჭირდება პროდუქციას, რომელსაც ეს ქვეყანა ამზადებს. ასეა ყველა სფეროში, მით უმეტეს პოლიტიკაში. განა ის არაფერია, როდესაც ირანი მარტო უზის „ექვსეულის“ მაგიდას, თან როგორი „ექვსეულს“. ირანმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, მოახერხა მათთან გათანაბრება. გათანაბრება, საკუთარი „მეს“, „სახის“ დაკარგვის გარეშე.

საქართველოს მოსახლეობამ ნაკლებად იცის თანამედროვე ირანის შესახებ, რაც ჩვენი ხელისუფლებისა და მედიის ბრალია, ამასთანავე იმ ამორჩეული ცალმხრივი ორიენტაციის - ევროატლანტიკური რომ ჰქვია. საქართველოს ხელისუფლებას მზე და მთვარე აშშ-ზე ამოსდის და ამ დროს ირანი რა მოსატანია? მოსატანია და მერე როგორი. მაინც რა არის ირანში ისეთი, რამაც ინტერესი უნდა გამოიწვიოს ჩვენში? ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ აღვნიშნავ ზოგიერთს: საერთო საყოველთაო განათლება, მეცნიერება, ენერგეტიკული პროგრესი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სულიერი სიმტკიცე, პატრიოტიზმი, შეუპოვრობა მტრის მიმართ.

სულ ახლახან ირანელმა ხალხმა და მსოფლიო მუსლიმანობამ აღნიშნეს თანამედროვე ირანის დამაარსებლის აიათოლა ხომეინის გარდაცვალების 26 წლისთავი. ინტერნეტსა და პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამ ღონისძიებაში 64 ქვეყნის თითქმის ექვსასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთაც საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ თანამედროვე ირანის მიღწევებს და პოლიტიკას, რომელსაც ეს ქვეყანა აწარმოებს.

მავანი იკითხავს, სად ბავარიის „დიდი შვიდეულის“ სამიტი და სად იმამ ხომეინის გარდაცვალების 26 წლისთავიო. მაგრამ გავიხსენოთ სამიტის დღის წესრიგი, სადაც ირანის ბირთვული პროგრამა, ახლო აღმოსავლეთის საკითხები, სირიაში ომი და „ისლამური სახელმწიფოს“ გამოწვევა „შვიდეულის“ განხილვის თემები იყო.

ირანი ის ქვეყანაა, რომელსაც ხელი უჭირავს ახლო აღმოსავლეთის მაჯისცემაზე. ირანი ის ქვეყანაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სირია-ერაყის პრობლემების გადაწყვეტა. ირანი ის ქვეყანაა, ვინც მრავალი წლის განმავლობაში მედგრად იბრძვის ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ. ირანი ის ქვეყანაა, რომელიც დღიდან „ალ-ქაიდას“ შექმნისა, ებრძვის ამ ორგანიზაციას და მის ფილიალს „ჯაბხად ან ნუსრას“. ირანი მხარს უჭერს ბაშარ ასადს, „ჰესბოლას“, „ჰამასს“, რითაც იმხედრებს საუდის არაბეთს, ყატარს, თურქეთს. ამ „სამეულს“ ხომ მჭიდრო იატაკქვეშა კავშირები აქვთ „ისლამურ სახელმწიფოსთან“, ისე, როგორც აშშ-ს და „დიდი შვიდეულის“ ზოგიერთ წევრს?!

დიახ, ირანი კერკეტი პოლიტიკური კაკალია, რომლის გატეხვა ამერიკულ კბილებსაც არ შეუძლია. არ შეუძლია, ვინაიდან ჭირს სინამდვილის დაფარვა. აშშ 30 წელიწადზე მეტია, ირანს ნომერ პირველ ტერორისტად მოიხსენიებს და, რაც მთავარია, ტერორიზმის წამახალისებელ ქვეყნად. ირანის ასეთად მოხსენიება რომ წაწყმენდაა, ცოტამ თუ იცის საქართველოში. არც ის იცის, რომ თუ ვინმე მართლაც ებრძვის ტერორიზმს და არა მოჩვენებით, როგორც ამერიკა, ირანია.

აიათოლა ხომეინის 26 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა იმამ ხომეინის სამარადისო სასუფეველში, ირანის მეთაურის აიათოლა ხამენეის სიტყვაში ხაზგასმით აღინიშნა: „აშშ-ში იტანენ ერაყსა და სირიაში ექსტრემისტული სუნიტური ჯგუფების მოქმედებას. აშშ-ში არა მარტო ლოიალურად ეპყრობიან ექსტრემისტებს სირია-ერაყში, არამედ ფარულად ეხმარებიან მათ“.

აიათოლა ხამენეიმ დაადანაშაულა აშშ ისლამის მიმდევრებს შორის შუღლის გაღვივებაში. „ირანის ისლამური რესპუბლიკა გააგრძელებს ჩაგრული ხალხების მხარდაჭერას, მათ შორის პალესტინის“. აიათოლა ხამენეიმ ირან-„ექვსეულის“ მოლაპარაკებაზეც გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს მოლაპარაკების სანდო პარტნიორად.

ქვეყნის მეთაურის გამოსვლას ესწრებოდნენ ირანის საზოგადოების ათასობით წარმომადგენელი, უცხოელი სტუმრები და ირანში აკრედიტებული დიპლომატები.

ირანის ხელისუფალთა თავდაჯერებულობა ბევრი რამით არის განპირობებული, უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ ის მართალ საქმეს ემსახურება, საქმეს, რომელიც აიათოლა ხომეინიმ დაიწყო და წარმატებით ხორციელდება მისი მემკვიდრეების მიერ. ირანი არის სახელმწიფო, რომლის ომახიანი ხმა ისმის მთელს ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ. ირანი არის ქვეყანა, რომელსაც მოკრძალებით, პატივისცემით ეპყრობიან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ირანი არის ქვეყანა, რომელიც 37 წელიწადი იბრძვის მსოფლიოში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის და ამ ბრძოლაში წარმატებებსაც აღწევს. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ირანი არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რომლის დამოუკიდებლობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე თუნდაც „დიდ შვიდეულში“ შემავალი ქვეყნების. „დიდი შვიდეულის“ შემადგენლობა მზადაა, ნებისმიერ დროს უყოყმანო დამოკიდებულება გამოხატოს კლასის დამრიგებლის — აშშ-ის მიმართ. ასე იყო ბოლო, ბავარიული სამიტის დროსაც, რისთვისაც პრესამ ამ შეხვედრას „ერთ+ექვსი“ დაარქვა. და როდესაც მსგავს მორჩილებასთან გვაქვს საქმე, იქ დემოკრატია რა მოსატანია.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## მითი თუ რეალობა?

# რის ხარჯზე მატულობს სამუშაო ადგილების რაოდენობა საქართველოში

**ბოლო ხანებში მთავრობის წარმომადგენლებმა უმუშევრობის შემცირებაზე დაიწყეს საუბარი. მათ მიერ მოყვანილ სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, ქვეყანაში თანდათან მცირდება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი, სამაგიეროდ, კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა მატულობს.**

სტატისტიკური მონაცემებითაც, 2010 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 12.1%-ით, ხოლო არასახელმწიფოში – გაიზარდა 11.3%-ით. სულ დასაქმებულთა რაოდენობა 2014 წელს 2010 წელთან შედარებით 7.2%-ით გაიზარდა და შეადგინა 1,745.2 ათასი კაცი. ამ საკითხზე მედიასთან ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმაც** ისაუბრა და თქვა, რომ საქართველოში მთავრობის ცვლილების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 30 ათასით არის გაზრდილი, მათ შორის, ჭარბობს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რიცხვი. ნოდარ ხადური არ არის ერთადერთი მინისტრთა კაბინეტიდან, რომელიც უკანასკნელ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას შეეხო. ბიზნესსექტორში დასაქმების ზრდაზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ **ირმა ქავთარაძემ** და პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმაც** ისაუბრეს.

კონკრეტულად, რომელი სეგმენტის ხარჯზე იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში? ამ მიზნით დასაქმების სააგენტოებს დავუკავშირდით, რომლებიც ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდის დინამიკას ვერ გრძნობენ:

**ნიკოლოზ ნამორაძე – „ბრეინ სორს ინტერნეიშენალის“ მმართველი პარტნიორი საქართველოში:**

– ჩვენ უცხოური კომპანიის წარმომადგენლები ვართ და ძირითადად კერძო სექტორთან ვმუშაობთ. კომპანიები გვიკვეთავენ სხვადასხვა კადრს – იქნება ეს მენეჯერი, ფინანსისტი, დირექტორი და ა.შ... მე პირადად, ვერანაირად ვერ დავეთანხმები ამ მონაცემებს. უფრო მეტიც, 2014 წელს ჩვენთან შეკვეთები არნახულად შემცირდა. ახლა პრაქტიკულად გაჩერებულები ვართ და ეს მხოლოდ ჩვენს კომპანიას არ ეხება. არ ვიცი „საქსტატმა“ ეს ციფრები საიდან მოიტანა, მაგრამ იმას, რომ კერძო სექტორში სამუშაო ადგილები გაიზარდა, მე ვერ დავეთანხმები. უფრო მეტიც, ძალიან ბევრი კომპანია დაიხურა საქართველოში იმიტომ, რომ ამ კრიზისს ვერ გაუძლო. ზოგი ახლა ხურავს თავის წარმომადგენლობას საქართველოში.

**„ეიჩარ პარტნერს“-ის დირექტორი ნინო ჯინჯოლავა კი ამბობს, რომ მნიშვნელოვან ცვლილებებს ისიც ვერ ხედავს და მის კომპანიაში ვაკანსიების მხრივ იგივე მდგომარეობაა, რაც 2-3 წლის წინათ იყო:**




– ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი იმის სათქმელად, რომ დასაქმების ბაზარზე რაღაც შეიცვალა დადებითი, ან უარყოფითი მიმართულებით. ცვლილებები ყოველთვის ხდებოდა და ხდება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს იმდენად არ იგრძნობა, რადგან 2-3%-იანი ზრდა ბევრს ვერაფერს ცვლის. ფაქტია, რომ ვაკანსიების რაოდენობა ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში გაზრდილი არ არის. თანაც, სამუშაო ადგილების შექმნა ერთია, მაგრამ მეორეა რამდენად სტაბილურია ეს ადგილები. ძალიან ხშირია 1-თვიანი, 2-თვიანი, ან თუნდაც 1-წლიანი სამუშაო ადგილებიც. ამიტომ, ეს საკითხი სერიოზულ დაკვირვებას და კვლევას საჭიროებს. მთავარი სამუშაო ადგილების შენარჩუნებაა და არა მათი რაოდენობა.

„ჩვენს სეგმენტში სამუშაო ადგილები მართლაც გაიზარდა“, – **ამბობს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი შალვა ალავერდაშვილი:**

– ახალი სამუშაო ადგილები ნამდვილად მოგვემატა, ეს იმიტომ, რომ სასტუმროებისა და რესტორნების რაოდენობა თბილისში და ბათუმში მატულობს. როგორც წესი, სასტუმროში რამდენი ოთახიცაა, დაახლოებით იმდენი მუშახელია საჭირო. მაგალითად, 40-ნომრიან სასტუმროს სულ მცირე, 40 პერსონალი მაინც სჭირდება. რესტორანს რამდენი ადამიანი სჭირდება, ესეც ვიცით – დაწყებული მზარეულითა და დამლაგებლით, დამთავრებული ადმინისტრაციის მუშაკებით. სამწუხაროდ, რეგიონებს ვერაფერი ვუშველეთ და ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ ყველაზე ცუდი კანონმდებლობა გვაქვს მთელ მსოფლიოში. როგორც ჩანს, მთავრობა არ ფიქრობს, რომ რეგიონებში სეზონური დაბეგვრა აუცილებელია. როგორც წესი, იქ ტურისტები მხოლოდ რამდენიმე თვით ჩადიან, სამი თვით რომ სასტუმრო გახსნათ, მერე დარჩენილ თვეებში ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადასახადი უნდა იხადოთ, როგორც იურიდიულმა პირმა, ანუ ორმაგი და სამმაგი ოდენობით. ამიტომ, საქართველოს რეგიონებში ეს ბიზნესი ვერ ვითარდება და თუ სეზონური დაბეგვრა არ იქნება, იქ ეს სფერო მომავალშიც ჩაკვდება.

როგორც სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, ბოლო ხანებში თბილისში ძალიან ბევრი მშენებარე ობიექტი გაჩნდა, რამაც თავისთავად მოითხოვა ახალი მუშახელი.

**კომპანია „ეპიკ დეველოპმენტის“ მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დოდო შენგელია:**

– მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ დოლარის კურსის მატების გამო ბინების რეალიზაცია ჭირს, მაგრამ მე ამას ვერ დავეთანხმები. შეიძლება, რაღაც მომენტში კლიენტებმა ახალი ბინის შეძენისაგან თავი შეიკავეს, მაგრამ რეალიზაცია თითქმის იგივე დარჩა. ასე რომ, ჩვენი კომპანია ბინებსაც ყიდის და სამუშაო ძალასაც იმ რაოდენობით ასაქმებს, რამდენიც გვჭირდება. არავინ გაგვიშვია, პირიქით, ადმინისტრაციაში რამდენიმე ადამიანი კიდევ დავიმატეთ. არ არის გამორიცხული, რომ ნაწილობრივ სწორედ სამშენებლო სექტორის ხარჯზეც მოიმატა სამუშაო ადგილების რიცხვმა საქართველოში.

**კომპანია ისტ-გეით ჯგუფის ხელმძღვანელმა ირაკლი იაშვილმა** კი, აგრარულ სექტორზე გაამახვილა ყურადღება: **„ჩემი აზრით, სამუშაო ადგილების ზრდა ძირითადად აგრარული სექტორის დამსახურებაა იმიტომ, რომ სახელმწიფომ ამ დარგის წასახალისებლად სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენა, რამაც დიდი სტიმული მისცა აგრარულ დარგში გადამმუშავებელი საწარმოების შექმნას. სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი კრედიტებით მე ერთ-ერთმა პირველმა ვისარგებლე, ჩემნაირი კი ბევრია. შესაბამისად, მგონია, რომ სამუშაო ადგილების მატება გარკვეულწილად სწორედ ამ სექტორზე მოდის. შორს რომ არ წავიდე, მე თვითონ ვისარგებლე აგრარული კრედიტით და ჩემს პარტნიორებთან ერთად კახეთში ახალი ღვინის ქარხანა გავხსენი, სადაც ახლა 35 ადამიანი მუშაობს. კიდევ ვაპირებ ამ ინსტრუმენტებს მივმართო, რადგან მსგავსი შეღავათები ნებისმიერი ბიზნესისთვის მისაღებია. ბუნებრივია, ბიზნესის ხელშეწყობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც უწყობს ხელს“.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

## ალიან-ჩალიანი



# ერგნეთის მოსახლეობას სარწყავი წყლის პრობლემა აღარ ექნება

**სოფელ ერგნეთში მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული ოჯახების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყალუზრუნველსაყოფად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო , შპს „საქართველოს მელიორაცია“ და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო ერთობლივი ძალებით სატუმბი სადგურის რეაბილიტაციას ახორციელებს.**

**რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიცვალა ტუმბო აგრეგატი, დაემატა სადაწნეო მილსადენის ერთი ხაზი, დამონტაჟდა მძლავრი ტრანსფორმატორი. მათივე ინფორმაციით, სოფელ ერგნეთის 150 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გასარწყავდება. აღნიშნული ფართობით 200 კომლი, დაახლოებით 600-700 მოსახლე ისარგებლებს. სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებაა 260 ათასი ლარი, ივნისის ბოლოს დასრულდება.**

**პროექტის ფარგლებში, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის აღდგება საცხოვრებელი სახლები და საარსებო წყაროდ საჭირო ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის მიერ შეირჩა სათემო ინფრასტრუქტურა-სოფლის საირიგაციო სისტემა. მემორანდუმის საფუძველზე, SDC-სა და საქართველოს მთავრობის ფინანსური რესურსების ერთობლივი კონსოლიდაციით შპს „საქართველოს მელიორაცია“ აღნიშნული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს.**

**ინტერპრესი**

## ხალხის ხმა

# ხელისუფლებავ, უბრალოდ,

## გაუმჯობესდა თუ არა საქართველოს რიგითი მოქალაქის მდგომარეობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში?

**არსებობს კი ქვეყანაში მიმართულება, რითიც ქვეყნის რიგითი მოქალაქე კმაყოფილია? შეძლებს რიგითი ქართველი, დაასახელოს ათი რამ, რამაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა?**

**Ambebi.ge-ს რედაქციამ მცირე სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვა თბილისში, ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში მიმდინარეობდა. ჩვენ ასევე ვისარგებლეთ ინტერნეტ-სერვისებით და რესპონდენტებმა ინტერნეტში განთავსებული სპეციალური აპლიკაცია შეავსეს. ჯამში, დაახლოებით 600-მა რესპონდენტმა გამოთქვა თავისი აზრი. გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა შეიცვალა რიგითი მოქალაქის ცხოვრებაში, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.**

ზოგადი ტენდენციები, რომლებიც გამოკითხვის შედეგების განხილვისას გამოიკვეთა, ასეთია:

**– 1: პირველადი მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების შეძენა. გაიზარდა თუ შემცირდა თქვენი მსყიდველობითი უნარი?**

– მოქალაქეების მსყიდველობითი უნარი არ შეცვლილა. ისინი, მხოლოდ აუცილებელი პროდუქტების შეძენას ახერხებენ. გარკვეულ ნაწილს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე 10 წლის წინათ ჰქონდა, მაგრამ ფასების მატების ფონზე, მსყიდველობითი უნარი ან იგივე რჩება, ან მცირდება კიდეც.

**– 2: მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობა, საავადმყოფოებში მომსახურების მიღება, დაზღვევა - შეიცვალა თუ არა ამ კუთხით რამე უკეთესობისკენ თქვენთვის?**

მოქალაქეებს უჭირდათ და უჭირთ მედიკამენტების შეძენა. მაშინაც კი, როდესაც მათი პირადი ან ოჯახის შემოსავალი გაზრდილია, მედიკამენტების შეძენა რთულია. თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა, დაზღვევასთან დაკავშირებით, იქნება ეს საყოველთაო თუ იმ სამსახურის შეთავაზებული, პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებს. მედიკამენტების შეძენის ხელისშემშლელ ფაქტორებად ბევრი რესპონდენტი მათ გაძვირებასა და რეცეპტების შემოღებას ასახელებს.

**– 3. გაიზარდა თუ შემცირდა თქვენი პირადი ან ოჯახის შემოსავალი? თუ გაიზარდა, რატომ?**

გამოკითხული მოქალაქეების ის ნაწილი, ვინც უკვე პენსიონერია, ასახელებს, რომ ოჯახის შემოსავალი შემცირდა, მაგრამ შრომისუნარიანი მოსახლეობა, ძირითადად, აღნიშნავს, რომ შემოსავალი გაეზარდა.

**4. შრომითი უფლებები – რამდენად გაუარესდა ან გაუმჯობესდა თქვენი სამუშაო გარემო და პირობები?**

შრომით უფლებებთან დაკავშირებით უმეტესობა ამბობს, რომ ან საერთოდ არ შეცვლილა სამუშაო გარემო და პირობები, ან მცირედით გაუმჯობესდა.

**– 5. იძლევა თუ არა, ჩვენს ქვეყანაში მიღებული განათლება დასაქმებისა და რეალიზების საშუალებას? როგორია ამ კუთხით თქვენი პირადი გამოცდილება?**

ჩვენს ქვეყანაში მიღებულ განათლებას მოქალაქეთა უმრავლესობა არაპერსპექტიულად აღიქვამს. პირად საუბრებში რესპონდენტები საქართველოში არსებული ნეპოტიზმის მაღალ მაჩვენებელზე მსჯელობენ. მათი აზრით, დასაქმება იმ შემთხვევაშია ადვილი, თუ კარგი ნაცნობი, ე.წ. „კრიშა“ გყავს, თუმცა, რეს-

ქართველო, ნუ მიატოვებ სოფელს!

# ჟან ჟაკი – გაკახელებული ფრანგი ფერმერი

**კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ არგოხში ცხოვრობს და მისი სახელი პატარა ბავშვმაც კი იცის. კახეთში ჩამოსვლამდე, სხვადასხვა დროს შტუდგარდში, ბერლინსა და სტრასბურგში სწავლობდა.**

**ამჟამად არგოხში ფერმერულ მეურნეობას ეწევა და უძველესი ქართული მეთოდით აცხობს პურს, რომელსაც ვაკეში ყიდის. ფერმერი, რომელიც გარეთ ვაჭრობს და რომლის გამომცხვარი პურიც დიდი პოპულარობით სარგებლობს დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში, ფრანგი ჟან ჟაკ ჯეიკობსია — საფრანგეთის ქალაქ ბრეტანიდან.**

გაკახელებული ფრანგი ფერმერი ყოველ პარასკევს, ღამის ორ საათზე იწყებს ცომის მოზელას. მცირე ხნის დასვენების შემდეგ შეშას ჭრის, ღუმელს ახურებს და პურს ნახშირზე თავად აცხობს. ამბობს, რომ არ იყენებს საფუარს, რაც ჟან ჟაკის პროდუქციას სპეციფიკურ არომატს ანიჭებს: „საფუარს არ ვხმარობ, მხოლოდ ხაში, წყალი და ფქვილი. ეს ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია“.

ჟან ჟაკ ჯეიკობსი საფრანგეთში ცხოვრების დროს პურს ალერგიის გამო ვერ ჭამდა. 2005 წელს კი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროში სტუმრობის დროს პური გასინჯა და ძალიან მოეწონა. ჯეიკობსი აღნიშნავს, რომ პური, რომელიც დააგემოვნა, „წითელი დოლის“ ჯიშის ხორბლის ფქვილით იყო გამომცხვარი, რომელიც ამჟამად თავადაც მოჰყავს.

**„პირველად საქართველოში მოვედი 2005 წელს. სოფელ მაღაროში სტუმრად ვიყავი, მეგობართან, სადაც პური გავსინჯე. ევროპაში პურს ვერ ვჭამდი, რადგან ალერგიას მაძლევდა. პური სპეციალური ხორბლით იყო გამომცხვარი. საქართველოში, უკან 2006 წლის აპრილში დავბრუნდი და ახლა სულ აქ ვარ. სოფელ არგოხის შესახებ კი მეგობრისგან გავიგე და აქ გადავწყვიტე მოსვლა“,** — ამბობს ჟან ჟაკი.

2006 წელს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ჯეიკობსმა პურის უძველესი ქართული მეთოდით გამოცხობის შესახებ ინფორმაციის მოძიება დაიწყო. საცხობი ხელსაწყოები კი საფრანგეთში შეიძინა. მალე არგოხში სახლი იყიდა, თონე ააშენა და მას შემდეგ პურის გამოცხობა მისთვის სასიამოვნო პროცესად იქცა. ყოველ შაბათს თავის მინიბუსს პურის გარდა, სოფლის ნობათით ტვირთავს და ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, მეგობრის სახლის ეზოში დგამს დახლს, სადაც აწყობს ყველს, მურაბას, თაფლს, თხილს, ბოსტნეულსა და მწვანილს. პურის ნაწილი რამდენიმე რესტორანში მიაქვს და იქ აბარებს:



**„ეს ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგი პურია და კარგი გემო და არომატი აქვს. პატარა მარკეტი გვაქვს და ვყიდით ყველს, წვენს, ბოსტნეულს და სხვადასხვა პროდუქტს. ეს ადგილია ფალიაშვილის 33 ა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლთან არის. შაბათს ეზოში დგას მაგიდა და ქოლგა. შაბათს 9-დან 2-მდე კი ვყიდი პურს, მაგრამ პური რომ იყიდოთ 12-საათამდე უნდა მოხვიდეთ, რადგან ძალიან ბევრი კლიენტია“.**

პურის ცხობაში გერმანელი იანეს ხოზიგი, როზა დეგენჰართი, ამერიკელი კოლიერ დუროვიჩი და მეზობლები ეხმარებიან. გერმანელი როზა ჟან ჟაკთან სკოლის დამთავრების შემდეგ სპეციალური პროგრამით ჩამოვიდა, რადგან აინტერესებდა სოფლის მეურნეობა და თან იცოდა, რომ საქართველოში დარგის შესახებ მნიშვნელოვან ცოდნას შეიძენდა. ჟან ჟაკის კახეთში ყოფნისა და მისი საქმიანობის შესახებ ინტერნეტით შეიტყო. ამბობს, რომ ფერმერულმა საქმიანობამ ძალიან მოხიბლა და სურს, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ თავადაც დაიწყოს ეს საქმე.

**„შარშან დავამთავრე სკოლა. უნივერსიტეტში ჩაბარება არ მინდოდა. გერმანიაში ახალგაზრდებისთვის არის მთავრობის პროგრამა. მე ეს პროექტი ვიპოვე. ძალიან მომეწონა, მაინტერესებს სოფლის მეურნეობა. ივლისის ბოლომდე ვიქნები და მერე გერმანიაში დავბრუნდები“,** — ამბობს როზა დეგენჰართი.

ჟან ჟაკს მოხალისეები ეხმარებიან მიწის დამუშავებაშიც. ნაკვეთები სოფელთან ახლოს აქვს და სწორედ იქ მოჰყავს ხორბალი. ამბობს, რომ ხორბლის დათესვისას ადამიანი უნდა იყო დადებით განწყობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარისხიან მოსავალს ვერ მიიღებს. გაკახელებული ფრანგი ქართველებს ამავე დროს ურჩევს, არ დატოვონ სოფელი და მიწა დაამუშავონ.

არგოხში მცხოვრები ქართველებისათვის ჟან ჟაკი ერთგვარად ბიძგის მიმცემია. მირიან კოჭაური იმედგაცრუებული იყო და მძიმე სოციალური პირობების გამო აპირებდა კიდეც სოფლის დატოვებას. თუმცა, მირიანი ამბობს, რომ ჟან ჟაკმა სტიმული მისცა, ფერმერული მეურნეობა გააფართოვოს და მოსავალი მოიყვანოს უძველესი ქართული მეთოდით, რომელიც სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების აკრძალვას გულისხმობს.

**„ჟან ჟაკი ჩვენთვის დიდი მაგალითია. ეს ადამიანი ძალიან საინტერესო პიროვნებაა. ყველაფერი მოჰყავს შხამ-ქიმიკატების გარეშე და ჩვენ ამას ქართველი ერი გადავეჩვიეთ, მაგრამ ამაში ჩვენ მივბაძეთ ამ კაცს და ხორბალი მოგვყავს უსასუქოდ“,** — აცხადებს მირიან კოჭაური.

ჟან ჟაკი არგოხელებისათვის არ არის მხოლოდ მოსავლის უძველესი ქართული მეთოდით მოყვანის სტიმულის მიმცემი. ის მათ პროდუქციის გაყიდვის მეთოდების შესახებ კონსულტაციებსაც უწევს. ნინო გუჯეჯიანის ოჯახმა მეფუტკრეობა ცოტა ხნის წინათ დაიწყო. ნინოს იმედი აქვს, რომ უცხოელი ჯეიკობსი თაფლის გაყიდვაში დაეხმარება. გუჯეჯიანების ოჯახი ჟან ჟაკთან ერთად ერთობლივი მცირე ბიზნესის დაწყებასაც აპირებს.

**„ხშირად ვაკითხავთ, ვნახულობთ, ვესაუბრებით. ჩვენ მეფუტკრეობას მივდევთ. მეფუტკრეობაში შხამქიმიკატებს ვერ გამოიყენებ. ის ნამდვილად დაგვეხმარება იმაში, რომ რეალიზაცია გავაკეთოთ, ალბათ თბილისში. გვინდა, რომ ერთობლივად რაღაც გავაგრძელოთ. გვაქვს ღვინო და მეღვინეობას მივდევთ. საკმაოდ ბევრი ვენახი გვაქვს. დაგვეხმარება ამ ღვინის რეალიზაციაში და ა.შ. მერე ვნახოთ, შემდეგში კიდევ რა იქნება“,** — აღნიშნავს ნინო გუჯეჯიანი.

**„სოფელთან საერთო ენა ადვილად გამონახა. როგორც ოჯახის წევრი, ისეა ყველასთან. თუ რაღაცა დაგვჭირდა, თანხითაც რომ იყოს, ვთხოვთ და გვეხმარება. ძალიან კარგი პიროვნებაა და ყველას გვერდში გვიდგას. მისი ყოფნა ამ სოფელში ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან სხვანაირი ხედვა აქვს — ყურადღებას ბიო მეურნეობაზე ამახვილებს, ეს ნამდვილად სამომავლო საქმეა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ჩვენ თავად მაგალითი უნდა ავიღოთ, ვისწავლოთ და გავაკეთოთ ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა“,** — ამბობს ნინო გუჯეჯიანი.

თავად ჟან ჟაკიც კმაყოფილებას ვერ მალავს კახეთში ცხოვრებით. ამბობს, რომ გულისხმიერ და სტუმართმოყვარე ადამიანებთან აქვს ურთიერთობა და საქართველოდან წასვლას აღარ აპირებს.

**knews.ge**

ხალხის ხმა

# ვარსებობთ!

პონდენტების მცირე რაოდენობამ მიღებული განათლების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ პირადი გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით დადებითი აქვს — მათ პროფესიით დასაქმება შეძლეს.

**— 6. გაქვთ თუ არა, მცირე ბიზნესის დაწყების სურვილი და რატომ? მცირე ბიზნესის დაწყების სურვილს გამოკითხულთა უმრავლესობა არ ადასტურებს.**

**— 7. გაიზარდა თუ შემცირდა უსაფრთხოების შეგრძნება - რამდენად უსაფრთხოა თქვენთვის თქვენი გარემო? ქვეყანა?**

— უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. რესპონდენტები ან ამბობენ, რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, ან ისინი, ვინც აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოების შეგრძნება შემცირდა, უკანასკნელ პერიოდს ასახელებენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ქუჩაში გამოკითხვის დროს რამდენიმე დღის წინ საკუთარი მაღაზიიდან გამქრალ საფულეზე მოგვითხრო, რომელშიც ვერცხლის საყურე, 230 ლარი და 120 ამერიკული დოლარი იდო. მოქალაქეების აზრით, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კრიმინალის შემთხვევები გახშირდა.

**— 8. გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ცხოვრების პირობები? ( გაუმჯობესდა თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება).**

— აღსანიშნავია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ერთი ტენდენცია: რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ ქუჩები და გზები მოწესრიგდა. თუმცა უარყოფითი დამოკიდებულებაა მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართ.

**— 9. რამდენად ხშირად მიმართავთ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს და რატომ?**

— გამოკითხულთა უმრავლესობა ხშირად მიმართავს ბანკებს და ლომბარდებს, ან უკვე აქვს ბანკში სესხი და მას იხდის. მოქალაქეები ამის ძირითად მიზეზად მცირე შემოსავალს ასახელებენ. მათი თქმით, შემოსავალი ხარჯებს ვერ წვდება და იძულებულები არიან, სესხი აიღონ ან ნივთები დაალომბარდონ. რესპონდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა კი აღნიშნავს, რომ ისინი მსგავს ორგანიზაციებთან ურთიერთობისგან თავს შორს იჭერენ, მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო.

**— 10. გაქვთ თუ არა თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების მომავლის უზრუნველყოფის საშუალება: 1. თანხის დაბანდება 2. გარკვეული დანაზოგის შექმნა 3. განათლებაში ინვესტირება.**

სასიამოვნო ფაქტია, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა განათლებაში ფულის ინვესტირებას ცდილობს. გამოკითხული რესპონდენტების უდიდესი ნაწილი ვერც მცირე დანაზოგის გაკეთებას, ვერც ფულის დაბანდებას ვერ ახერხებს, მაგრამ განათლებაში მცირე თანხებს მაინც ხარჯავს. „განათლებისთვის ყველაფერს გავიღებ. მაგრამ საქართველოში ანაზღაურების პირობები განათლებაში ინვესტირების შესაძლებლობას ართულებს. თუმცა ოჯახი რაღაცნაირად ვუმკლავდებით შვილის განათლებას“, — მიუთითა კითხვარში 43 წლის ქალბატონმა განათლებაში ინვესტირებასთან დაკავშირებით.

**სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი მხოლოდ პირველადი საჭიროების საგნებისა და პროდუქტების შეძენას ახერხებს. მცირე დანაზოგის გაკეთება, ბიზნესის დაწყების მიზნით მცირე კაპიტალის დაგროვება უმრავლესობისთვის ფუფუნებას წარმოადგენს. „უბრალოდ, ვარსებობთ“ — ხშირად იყო ასეთი პასუხები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოქალაქეებს შემოსავალი გაეზარდათ, ფულის გადადებას ვერ ახერხებენ, რადგან პროდუქტებზე და მედიკამენტებზე ფასებმა მოიმატა: შემოსავალი გაიზარდა, მაგრამ ხარჯიც გაიზარდა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოქალაქეები ცდილობენ, განათლებაში მაინც ჩადონ მცირე თანხები, რათა საკუთარი შვილების მომავალი შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ.**

**თამარ კორკოტაშვილი**

ალიან-ჩალიანი



# კასპიის ზღვაში გემების შეჯახებისას საქართველოს ორი მოქალაქე დაშავდა

**ყაზახეთში საქართველოს საელჩოს და საკონსულოს კასპიის ზღვაში დაშავებულ საქართველოს მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ. ამის შესახებ ყაზახეთში საქართველოს კონსულმა ბიძინა ღვარჩლიანმა განაცხადა. მისი თქმით, შეჯახება სამგზავრო კატამარანსა და ბარჟას შორის 9 ივნისს, ღამის პირველ საათზე მოხდა. კატამარანზე საქართველოს ორი მოქალაქე იმყოფებოდა.**

**მომხდარი შეჯახების შედეგად დაშავებული საქართველოს ორივე მოქალაქე გადაიყვანეს ქალაქ ატირაუს საავადმყოფოში. ერთს აქვს მარცხენა ხელის მოტეხილობა, ხოლო მეორემ მიიღო თავის ქალის ტრავმა და ამჟამად რეანიმაციიდან ნეიროქირურგიულ განყოფილებაშია გადაყვანილი. მისი მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურად მძიმეა.**

**ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული ყაზახეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, უკვე შედგა სატელეფონო საუბარი მკურნალ ექიმთან, ერთ-ერთ დაშავებულთან და კომპანიის წარმომადგენლებთან. „დაშავებულებს არ გააჩნიათ პრეტენზიები კომპანიის მიმართ, რომელმაც თავის თავზე აიღო მკურნალობის ხარჯები. ასევე, დაშავებულები საელჩოს თხოვნით მოინახულა ქალაქი ატირაუში ქართული დიასპორის თავმჯდომარემ. საელჩო აქტიურ სატელეფონო კავშირზეა დაშავებულებთან“, — განაცხადა ბიძინა ღვარჩლიანმა.**

**ინტერპრესი**

სუფთა წერა

# „თქვენი გვარ-სახელი დამიწერეთ, ვნახოთ, რა გტკივათ...“



**თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი ის გახლავთ, რომ, ფაქტობრივად, ყოველწლიურად, მსოფლიოს ამა თუ იმ განვითარებულ ქვეყანაში განათლების სისტემაში რაღაც ისეთი სიახლე შეაქვთ, რაზეც უწინ ვერც იფიქრებდნენ, თუმცა კი, ზოგიერთი სიახლე გარკვეულ ეჭვს ბადებს. ცხოვრების მაღალი დონით გამორჩეული ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის, ფინეთი, სადაც მომავალი წლიდან ბავშვებს... წერას აღარ ასწავლიან და ამ პროცესს ბეჭდვითი ასოებითა და კომპიუტერით ჩაანაცვლებენ. იმავეს გეგმავენ შვეიცარიაშიც. ამერიკის შეერთებული შტატების 21 შტატში გადაბმულ წერას უკვე რამდენიმე წელია, აღარ ასწავლიან, ასევე იქცევიან გერმანიის ზოგიერთი მხარის პედაგოგები. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ მათ მაგალითს, შესაძლოა, რუსეთშიც მიბაძონ. ამავე დროს, ზოგიერთი ბევრი სწავლული, მათ შორის, პედაგოგები, მედიკოსები, ფსიქოლოგები, სხვები აღნიშნავენ, რომ ასეთი რამის გაკეთება ადამიანის რობოტად გადაქცევის უმოკლესი გზაა.**

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გადაბმულად წერა ბავშვმა აუცილებლად უნდა ისწავლოს, რადგან ხელწერა – ეს უკლებლივ ყველა პიროვნების თვითგამოვლენის ერთ-ერთი საუცხოო საშუალებაა. გარკვეულ ასაკში ბავშვი აუცილებლად უნდა სწავლობდეს წერას, ხატვას, გნებავთ, ძერწვას, სხვა „ბავშვურ“ „რამერუმეებს“. კომპიუტერის კლავიატურის ადრეულივე ასაკიდან მიჩვევა პიროვნებას კლავს, წერის სწავლება კი თავის ტვინის იმ სტრუქტურებს ააქტიურებს, რომლებიც ადამიანს დამოუკიდებელ და შემოქმედებით პიროვნებად ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. არადა, მეცნიერები ირწმუნებიან, რომ 18 წლის ასაკის შემდეგ ამის გაკეთებას აზრი აღარა აქვს, რადგან ეს სტრუქტურები აღარ აქტიურდებიან.

საგულისხმოა ისიც, რომ ამერიკის ზოგიერთ ელიტურ და ტექნოლოგიურად უაღრესად გამორჩენულ შტატში, მაგალითად, მასაჩუსეთსა და კალიფორნიაში, ბავშვებისთვის წერის სწავლებაზე უარს არც ამბობენ და ამის გაკეთებას არც აპირებენ. როცა წერის სწავლების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, საგანგებოდ აღნიშნავენ ეგრეთ წოდებულ „წვრილ მოტორიკას“.

საქმე ის არის, რომ, როგორც ცნობილია, ხელწერა ინდივიდუალურია და ადამიანის ხასიათთანაა დაკავშირებული – სწორედ ამ მხრივ უდგებიან მას ძირითადად კრიმინალისტი-გრაფოლოგები. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ხელწერას დიდი სამედიცინო მნიშვნელობაც ჰქონია: **მისი გამოყენება გარკვეულ სნეულებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვისაც კი ყოფილა შესაძლებელი.**

ხელწერით მკურნალობის მეთოდის შემქმნელია ესპანელი გრაფოლოგი ვინსენტე ლიედო პარესი. ვიდრე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ ამ უნიკალურ ფსიქოთერაპიული მიდგომის არსზე გადავიდოდეთ, საჭიროა მცირედი განმარტების გაკეთება.

**ფსიქოენდოკრინოლოგია** ჰორმონებსა და ფსიქიკას შორის კავშირებს შეისწავლის, სადაც დიდ როლს ეგრეთ წოდებული ნეიროჰორმონები, ანუ ნეიროპეფტიდები ასრულებენ. რამდენიმე ამინომჟავისგან შემდგარი ეს მოლეკულები ადამიანის ორგანიზმში უამრავ პროცესს აწესრიგებენ – დაწყებული შინაგანი ორგანოების მუშაობიდან და დამთავრებული კუნთების აქტივობით. პროფესორ პარესის აზრით, ადამიანის ხელწერა ნეიროპეფტიდებზეა დამოკიდებული. თანაც, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქ კავშირი ორმხრივია: როცა იცვლება ნეიროპეფტიდები, იცვლება ხელწერაც. და პირიქით – ხელწერის შეგნებით შეცვლა ნეიროპეფტიდებში ძვრებს იწვევს, რის შედეგად იცვლება ადამიანის ემოციები და ფსიქიკა.

ვინსენტე პარესის ფსიქოთერაპიაც სწორედ ამაზეა დაფუძნებული. თუ ამ მეთოდს კონკრეტულად განვიხილავთ, მისი არსი შემდგომშია: **დეპრესიით შეპყრობილი ადამიანები ასოებს ერთმანეთისგან განცალკევებულად წერენ – რაც უფრო მძიმეა სენი, მით უფრო მეტადაა დაცილებული ასოები ერთმანეთს.** თუკი დაავადებულ ადამიანებს გადაბმულად წერას ვასწავლით, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. იდეალურ შემთხვევაში, ეს მეტად ფაქიზი მეთოდიკაა, თითოეულ პაციენტთან ექიმი ინდივიდუალურად უნდა მუშაობდეს, თუმცა კი, შესაძლებელია უფრო მარტივი ვარიანტის გამოყენება: პაციენტს გარკვეულ ხელწერას შეურჩევენ და შემდეგ იგი, პირველკლასელივით, თავისით მეცადინეობს. სხვათა შორის, ამის გამოყენება არა მარტო სამკურნალოდ, არამედ ფსიქოთერაპიული მიზნითაცაა შესაძლებელი.

**ამასთან, ისიცაა საყურადღებო, რომ ხელწერით ადამიანის ხასიათსა და ემოციებზეც შეიძლება ზემოქმედება.**

ინფორმაცია თემაში

**თუკი ასოები მომრგვალებულია, მაშასადამე, ასეთი ხელწერის მქონე კაცი თავაზიანია, უკონფლიქტო;**

**თუკი ასოები ვიწროა და წაწვეტებული – ეს ინტელექტის, პატივმოყვარეობის, ახლის შესწავლისადმი სწრაფვის ნიშანია;**

**როცა ასოები განიერია, დიდი – ეს გულღიობას, სიცოცხლით ტრფობას ნიშნავს;**

**ხოლო, თუ ასოები კუთხოვანია – ეს სკეპტიკოსების დამახასიათებელი ხელწერაა.**

**რაც შეეხება წერის დროს ასოების დახრას, მარჯვნივ დახრა სოციალურად გახსნილი, ემოციური კაცის ნიშანია; მარცხნივ დახრა – იმის დასტურია, რომ ადამიანი საკუთარ ემოციებს მალავს, უყვარს მარტოობა; ვერტიკალური ასოები იმას მეტყველებს, რომ ლოგიკურად მოაზროვნე პიროვნება მალავს საკუთარ განცდებს; ერთმანეთზე გადაბმული ასოები იმას მოწმობს, რომ ლოგიკურად მოაზროვნე კაცი გამოცდილებასა და ფაქტებს უწევს ანგარიშს, ხოლო განცალკევებული ასოებით წერა ინტუიციურად, იმპულსურად მოქმედ ხალხს ახასიათებს.**

თუკი ადამიანის თვითშეფასება გადაჭარბებულია, მას ისეთი ხელწერა მოუხდება, სადაც წერა აუცილებლად ხაზების გასწვრივაა საჭირო და არა სიტყვების ზევით აცილება, როგორც, ჩვეულებრივ, ასეთ ხალხს ახასიათებს. სხვებმა ასოების გარკვეული დახრა უნდა დაიცვან. მაგალითად, ისინი, ვინც მათ გარშემო მყოფებთან დისჰარმონიაში არიან, მათი დაწერილი ასოები ხშირად ვერტიკალურია, ანდა, სულაც, მარცხენა მხარეს წახრილი. მათთვის რეკომენდებულია მარჯვნივ 45 გრადუსით დახრით წერა.

ზოგადად კი, **ვინსენტე პარესმა წერის დროს ხაზების 12 მიმართულება გამოყო, რომელთა მიხედვით დიაგნოსტიკას ახდენს.** ამ დროს იგი აფასებს მათ სისქეს, განთავსებას, აკვირდებოდა, თუ როგორია განლაგებული ფურცელზე ტექსტი, როგორი მინდვრებია დატოვებული და ა.შ.

ყოველივე ეს ხელების მოძრაობით აქტივობასთანაა დაკავშირებული, რომელსაც ნეიროპეფტიდები არეგულირებენ. ამ ანალიზის საფუძველზე პროფესორი პარესი ადგენს, თუ რა სისტემებია პაციენტის ორგანიზმში დაზიანებული, შემდგომ კი, ხელწერის კორექტირებით, კურნავს მათ.

თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ პრობლემა გაცილებით უფრო დიდია. ბუნებრივია, რომ თავის ტვინს, ემოციებსა და ნებისმიერ მოძრაობას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს და არა მარტო მაშინ, როცა კალმით ვწერთ. მეტიც: **მკაფიო ორმხრივი კავშირია ადამიანის ემოციებსა და კუნთების კონკრეტულ ჯგუფთა დაძაბვას შორის.** ყოველ ემოციას საკუთარი კუნთოვანი მოტორიკა შეესაბამება და, პირიქით, რასაც ეგრეთ წოდებული ჯეიმს-ლანგეს ფენომენი ეწოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **თუკი ადამიანი თავისი კუნთების კარგად მართვას ისწავლის, იგი ემოციების გაკონტროლებასაც შეძლებს.** ადამიანი, ინსტინქტურად, ოდითგანვე იყენებდა ამ შესაძლებლობას. მაგალითად, დედა, როცა თავის პირმშოს არწევდა, მონადირე, რომელიც ნადირობამდე, მეომარი კი ბრძოლის დაწყებამდე რიტუალურ ცეკვას ასრულებდა: **ყოველი ეს პოზა, მოძრაობა, ხმა კაცს შესაბამის ემოციაზე განაწყობს.** გავიხსენოთ თუნდაც აუტოგენური ვარჯიში, რომელიც კუნთების მოდუნებით იწყება, საბოლოო ანგარიშით კი ასტეროიდების – წვრილი სისხლძარღვების – მოდუნებას იწვევს. არადა, მიჩნეულია, რომ მათი, ისევე, როგორც შინაგანი ორგანოების, მართვა ჩვენ არ შეგვიძლია...

**ოთარ ტურაბელიძე**

დედაქალაქი

# წყალი მაინც ვასვათ ხალხს!

**როცა კი ლაპარაკი ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზეა, ეს, პირველ ყოვლისა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვას, ადგილობრივ მაცხოვრებელთა თუ სტუმრების თავშეყრის ადგილთა, უმთავრესად ფეხით სასიარულო ზონების, ასევე პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობას გულისხმობს.**

თავი რომ დავანებოთ თბილისის ბევრ ადგილას ქუჩების დანგრეულ მონაკვეთებს, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, ფაქტობრივად, უქონლობას, ზაფხულის დადგომასთან ერთად ელემენტარულად სასმელი წყლის პატარ-პატარა შადრევნების უკმარისობაც თვალშისაცემია. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს თავისუფლების მოედანზე პუშკინის სკვერი, სადაც მუდამ ნახავთ ჭადრაკის, დომინოს თუ ნარდის მოთამაშე ხანდაზმულ ხალხს, ველოსიპედებით მოსეირნე თუ ბურთით მოთამაშე პატარებს. ახლა კი მათ რიცხვს უამრავი უცხოელი ტურისტიც შეემატა, რომლებიც იქვე განთავსებული ტურისტული კომპანიის პავილიონში დედაქალაქის შესაბამის რუკებს, ათასნაირ ბუკლეტებს, სუვენირებს იძენენ. სასმელი წყლის შადრევნის ასანთის ღერის სიმსხო ჭავლი კი ერთიანად აოცებს და წყურვილს უძლიერებს როგორც თბილისელებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს.





განა რა გახდა სასმელი წყლის კიდევ რამდენიმე შადრევნის მოწყობა და წყლის თუნდაც ცოტათი უფრო ძლიერი ჭავლით მიწოდება? ღვინით თუ არ გავუმასპინძლდებით ჩამოსულებს, წყალი მაინც დავალევინოთ ზაფხულის ამ ცხელ დღეებში!

**დალი ხუნდაძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ალიან-ჩალიანი

# მიმდინარეობს ავარიული ბინების გამაგრება

**თბილისის მერიის განცხადებით, თოიძის №28-ში საცხოვრებელ სახლს გამაგრებითი სამუშაოები უტარდება. ჩუღურეთის რაიონში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ ინიცირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება.**

**63 316 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ფარგლებში გამაგრდება სახლის საძირკველი და კედელი ლითონის ბადით მოიჭიმება.**

**სამუშაოებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობა 2015 წლის ბიუჯეტიდან 85%-ით დააფინანსებს, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა სამუშაოების ღირებულების მხოლოდ 15%-ს გადაიხდის. აღნიშნულ მისამართზე 3 ოჯახი ცხოვრობს.**

**როგორც მერიაში აცხადებენ, ამ დროისთვის ჩუღურეთის რაიონში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ფარგლებში, სახლების საძირკვლის გამაგრების სამუშაოები 30 მისამართზე მიმდინარეობს. აღნიშნულ პროექტებში 1 054 204 ლარზე მეტი დაიხარჯება.**

**ინტერპრესი**

# რატომ ტირიან დედები?

...ჯვარში ხშირად ჰქრის ქარი, მაგრამ იმ დილით ნიავიც კი, არ ჰქროდა. ენგურჰესის მშენებლებიც მიყუჩებულიყვნენ ცოტა ხნით. მხოლოდ, მეორე საშუალო სკოლის ეზოდან ისმოდა პიონერთა საყვირის ხმა და ბავშვების ჟრიამული. ეზოკართან ყუთებში საგანგებოდ ჩარგული ოცდასამი ძირი კედარი ჩაემწკრივებინათ საპატიო ყარაულივით.

გაზაფხულს ფარჩა გაეშალა. სოფელი ფაშიზმზე გამარჯვების 23-ე წლისთავის ზეიმისთვის ემზადებოდა. სკოლის დირექციას კი, გადაეწყვიტა, ამ თარიღის აღსანიშნავად მრავალდღიანი „ლაშქრობა“ მოეწყო ნაომარ ადგილებში. ავტობუსზე მარშრუტი ეწერა: „ჯვარი-სევასტოპოლი!“.

სოფლის ცენტრში აღმართული შინმოუსვლელთა გორაკიდან კი, ნელი ნაბიჯით ჩამოდიოდა თვალცრემლიანი მოხუცი ქალი, ოლღა ქუხილავა. მის უკან ბიჭებს კიდევ ერთი ძირი კედარი მოჰქონდათ ყუთში ჩარგული. სკოლას რომ მოუახლოვდნენ, ბავშვები სათითაოდ მიეახლნენ მას.

— მობრძანდით, ოლღა ბებია!...-მოხუცს მილეულ თვალებში ცრემლი გაშრობოდა უკვე, მჯიღად შეკრული მარჯვენა მკერდზე მიედო და შორს იცქირებოდა.

— ...შენი სოფლისაა-თქო, უთხარით!... — თქვა დაღვრემილმა, ბოლოს.

...წითელ ნაჭერში გახვეული ერთ მუჭა ჯვარული მიწა და ოცდამეოთხე კედარი ჩაიბარეს ბავშვებმა!

* * *

... ამ სოფელს „ზალატაია ბალკა“ ჰქვია, — „ოქროს ხეობა“!

ბალაკლავას სანახებისკენ, სამხრეთით, ზღვა ლივლივებს ლურჯი და უსასრულო. ჩრდილოეთით საპუნგორაა და იმას იქეთ სევასტოპოლი ხმაურობს.

ჯამრთელად ცემს გმირი ქალაქის მაჯა, დაძარღვული და მრავალჭირნანახი. აქ, ძმათა სასაფლაოსთან კი, სისხლის წვეთებივით დაღვრილან ვარდები.

სიჩუმეა. მოშორებით მდგარი რუსული ხატების სითეთრე მოკრძალების, სისპეტაკისა და თაყვანისცემის სიმბოლოა, თითქოს.

ხატადან მოხუცი ქალი გამოდის. მასაც თეთრი, თეთრი თმები აქვს და საოცარია ეს სითეთრე! წელში ოდნავ მოხრილია და სევდიანი. იარებივით დაუსერავს ნაოჭებს სახე. ფერმკრთალი ლოყები ჩასცვენია და თვალები ამოღამებია.

ეს ევდოკია ივანეს ასულია,— ქართველთა და სომეხთა ძმათა სასაფლაოს მომვლელი. მისი ხატა აქედან მესამეა და ქმარიც მასავით მოხუცი და თეთრთმიანი ჰყავს. ჯვარელმა ბავშვებმა მათ ჩააბარეს თავიანთი კედრები მაშინ და ახლა, გამარჯვების 24-ე წლისთავზე, საძმო საფლავის გარშემო 23 ძირი კედარი ჩამწკრივებულა, ქორფა, შეულახავი და ჯანსაღი.

გრანიტის ძეგლთან კი, ცალკე დგას ოცდამეოთხე, ყველასაგან განსხვავებული, განმარტოებული, თითქოს, ვინმეს, დიდიხნის უნახავს ელოდებაო!...

...ევგენია ივანეს ასული სასაფლაოს შესასვლელთან ზის და ნაღვლიანად გვიყვება თუ, როგორ უნახავს სამი სევასტოპოლი, — ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ; თუ, როგორ გააცილა ერთადერთი შვილი ფრონტზე და ცრემლის მეტი არაფერი შერჩა მისგან სამახსოვროდ; ყვება იმ ბიჭებზე, ახლა, რომ, ზალატაია ბალკას, მიწაზე განისვენებენ; მათზეც, ვისაც მუჭა-მუჭა მოაქვთ ქართული მიწა და თვალცრელიანი ბრუნდებიან უკან. და ამ მონაყოლში დედის გული ესიტყვება ყველას, ვისაც მასავით დაჰკოდვია გული და ნუგეშად მხოლოდ ცრემლი და იმედი შერჩენია... უიმედობის!...

— ეს რომ გამოგვატანა, ტიროდაო ქართველი დედა, მითხრეს ჯვარელმა ბავშვებმა... — მეუბნება ევდოკია ივანეს ასული და ძეგლთან დარგულ კედარზე მითითებს, — ტიროდაო დედის გული, და იცი, ჩემო შვილო, რატომ ტიროდა ის?... როდის ტირიან დედები?...

...ახლა უკვე, ცრემლებს არ მალავს ევდოკია ივანეს ასული და მის თვალებში გრანიტის თავდახრილი ვაჟკაცი ირეკლება, რომელსაც ცალ ხელში მუზარადი უჭირავს და ცალში მახვილი.

...მთვარე კარგა ხანია ეწვია დედამიწას და ბინდისფერი გადაჰკრავს ყირიმის მიწას. გამომშვიდობებისას ევდოკია ივანეს ასული გზას გვილოცავს და თან, სევდიანი ხმით მაბარებს:



— ნუ ეტყვით შვილდაკარგულ დედებს, რომ მათ შვილების საფლავი არსად არ არის... იმედი ჰქონდეთ!... დე, შვილების ძვლები მაინც ეგულვებოდეთ დედამიწაზე!... უთხარით ქართველებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, აქ მათი წარსული განისვენებს... წარსული, რომლის გარეშე ფერმკრთალდება მომავალი!... ჩამოვიდნენ და იამაყონ თავიანთი მამა-პაპით!...

...„ოქროს ხეობაში“ გაუგონარი სიჩუმე საგანგებოდ ჩამოწვაო, თითქოს! აღმოსავლეთიდან მთვარე თანდათან აუყვა ცის გუმბათს და მე ყოველი მხრიდან ჩამესმოდა, თუ როგორ ითხოვდნენ შინმოუსვლელთა დედები: — საფლავი, საფლავი მაინც მოგვაძებნიეთო ჩვენი შვილების!..

იდუმალებით სავსე ღამის წყვდიადში დედის გული ქვითინებდა მწარედ!..

ახლაც ომია ყირიმში! — ომი და მშვიდობა ეკვეთნენ ერთმანეთს.

# შემოდგომა იდგა საქართველოში!

...იდგა 1964 წელი!...

ჩვენთან შემოდგომა იდგა, ოქროსფერი დრო წელიწადისა.

...ევროპაში ოთხთვიანი ველომოგზაურობის შემდეგ საქართველო ფსოუსთან შემოგვეგება.

...სოხუმში ქართული პური ვჭამეთ:

— ესეც ასეეე!...

ენგურმა მონატრებული მღვრიე ტალღები ოცარცეს ხიდთან შემოგვაგება და გაიხარა. სენაკთან მოტოციკლეტისტები წამიგვეწივნენ, კიშინიოვიდან იყვნენ. ჩვენც თავი მოვიწონეთ:

— ჩვენ ევროპა მოვიარეთ ველოსიპედებით და თქვენს ქალაქშიც გამოვიარეთო! გაუხარდათ და გაუკვირდათ, კიდეც.

მერე... ისინი ჩვენზე ადრე ჩავიდოდნენ თბილისში, ალბათ!...

ზოგან რთველი დაეწყოთ საქართველოში. სავსე გოდრები მიჰქონდათ მანქანებს. ხალხი ხმამაღლა ლაპარაკობდა ვენახში და მოსავალს აქებდა. ხვინტრიცობდნენ გოგო-ბიჭები. უფროსები წარბს ქვემოდან აკვირდებოდნენ და იღიმებოდნენ ჩუმჩუმად.

— სწორედ მაგისი დროა ახლა!... — აგულიანებდნენ „ბოვშვებს“. გოგოები წითლდებოდნენ. ვაჟები ყურებს ცქვეტდნენ. გამვლელიც ამჩნევდა ყოველივე ამას.

სიცოცხლე ჩქეფდა ქართულ ზვრებში.

...სოფელ სიმონეთთან ხალხი იყო მრავლად. მანქანებს გზა გადაეკეტათ. დიდ-პატრა მღეროდა „მაყრულს“.

პატარძალი ჭიშკართან ტიროდა. თითქოს, ვერ ელეოდა მშობლებს.

— კაი, გოგო, ახლა, კაი... აპა, რავა გინდა?!... — ამხნევებდა ვიღაცა.

— აბა, შენ იცი, ჩემო ნესტორ.. შენ გაბარებ ჩემს შვილს... ვინმეს ღმერთი არ გაუწყრეს და არ დამიჩაგროს, იცოდე!.. — იცრემლებოდა დედა.

— აბა, ჩქარა, ჩქარა!.. — ღრიალებდა შეზარხოშებული მაყრიონი.

...უცბად ვიღაცამ იკივლა:

— არიქა!... მოიტაცეს, მოიტაცეს!... ქალი გაიტაცეს!...

აირია ხალხი. ყველამ პატარძალს შეხედა. ის იქვე იდგა და ელოდებოდა, როდის ჩასვამდნენ საქორწილო მანქანაში.

— რა მოხდა, ხალხნო?.. — იკითხეს ზოგიერთებმა.

— როგორ, რა მოხდა, კაცო... მოიტაცეს ციცაი და ეგაა!..

თეთრი „ვოლგა“ უკვე აღმართზე მიჰქროდა.

— ახლა ცოდვას დავატრიალებ!... — გაიქაჩა პატარძლის ძმა და მძღოლს შეუძახა:

— აბა დაეწიე ახლა, მაგათ!...

— მაგათ ვინ დაეწევა აწი!.. — წელი ითრია მძღოლმა და ჩაიღიმა. ძმა დიდხანს „აქცევდა“ ქვეყანას და შემდეგ დაამშვიდეს:

— რა მოხდა, შე კაცო. ქორწილიდან გატაცებული უფრო ბედნიერი იქნება!..

შემდეგ ისევ მთავარ პატარძალს მიუბრუნდნენ და უცებ...

— აუჰ, არ დავუღუპივართ, კაცო?!... — იყვირა პატარძლის შეჭირვებულმა მამამ, — მდადე გოუტაცნიათ, კაცო, მდადე!.. არ დამღუპეს კაცი?!..

სიცილმა გადაუარა ხეობას. შემდეგ „მოვდივართ მოგვიხარია“ ასწია ვიღაცამ და მეორე ქორწილის მოლოდინში სიძეს თავისი ხოხობი ჩააბარეს!

...შემოდგომა იდგა საქართველოში, ქორწილების ოქროსფერი დრო წელიწადისა!...

...ჩვენ თბილისი გველოდებოდა!

* * *

...ნეტავი იმ დროს, იმ თბილისსა და საქართველოს, ეშმაკი, რომ არ დაიარებოდა ჩვენს შორის!

**ზაურ ფიფია**


# განცხადება

2015 წლის 3 აგვისტოს, 14 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. №9), გაიმართება შპს „კანარგო ჯორჯიას“ ნინოწმინდას ნავთობშემკრები ბაზის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

ბაზის მიმდინარე საქმიანობის საგანს წარმოადგენს ნინოწმინდის ნავთობის საბადოზე ჭაბურღილიდან ამოღებული ნავთობშემცველი მასის (ფლუიდი), შემგროვებელ ბაზამდე მილსადენებით ტრანსპორტირება და გაზოსეპარატორებში დამუშავება (გაზის მოცილება), დროებით დასაწყობება და შემდგომ ავტოცისტერნებში ჩატვირთვა სამგორის მთავარ ნავთობშემკრებ პუნქტში მიწოდების მიზნით.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის №9;**
- **შპს „კანარგო ჯორჯიას“ ოფისში - ქ. თბილისი, კოსტავას გამზირი №70;**

**შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59 52 55; 8 (95) 28 75 60.**

**საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.**

**შპს „კანარგო ჯორჯიას“ ადმინისტრაცია**


## ალიან-ჩალიანი



## მამედოვების შაურმა და ათი მოწამლული ადამიანი

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საშაურმეებში დარღვევები გამოავლინა., საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა მოკვლევა ჩაატარეს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული სატელეფონო შეტყობინებების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა გარდაბანსა და რუსთავში შაურმით 10 ადამიანის საკვებისმიერი ინტოქსიკაციის ფაქტებს.**

**სააგენტოს ინფორმაციით, შემოწმდა რუსთავში, ლეონიძისა და მესხიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე ი. მ „ილგარ მამედოვისა“ და გარდაბანში, აღმაშენებლის 48-ში მდებარე ი. მ. „რამინ მამედოვის“ საშაურმეები.**

**„შაურმის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა მეზოფილურ-აერობული, ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმების, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების, აურეუსისა და პათოგენური მიკროორგანიზმის — ლისტერია მონოციტოგენეზის არსებობა“, — აცხადებენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.**

**ინტერპრესი**

◉ მკლავჭიდი



# ტრიუმფი

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე სამინისტროში მკლავჭიდის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების სპორტსმენებს შეხვდნენ და ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცეს. ჟურნალისტების შეკითხვებს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა სოსო ჯაჭვლიანმაც უპასუხა.**

საქართველოს ნაკრებმა 1-7 ივნისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამივე ასაკობრივ კატეგორიაში (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები) 8 ოქროს, 16 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა. ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში ჩემპიონი ლევან საგინაშვილი გახდა, ვინც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი დაისაკუთრა. უფროსებს შორის ევროპის ჩემპიონები ასევე გახდნენ ალექსი ფრენწუაშვილი (55 კგ) და ჯამბულ ვიბლიანი (65 კგ).

ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენთა ნაკრებიც (ფედერაციის პრეზიდენტი ერეკლე გურჩიანი). ჩვენმა სპორტსმენებმა 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ბესიკ ლეკიაშვილმა (90 კგ) ფინალური შეხვედრები დათმო და მეორე ადგილებს დასჯერდა.

ვერცხლის მედალი ხვდა 70 კილოში მოასპარეზე ზურაბ ბუცხრიკიძესაც. კიდევ ერთი ვერცხლი ჩვენს გუნდს ვანო ახობაძემ მოუტანა, რომელმაც 60 კილოში წარმატებას მარჯვენა ხელით შეჯიბრებაში მიაღწია. საქართველოს ნაკრებს ორი ბრინჯაოს მედალი კი 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე ზურაბ სოხაძემ შემატა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ მოვლენის წინ

## სუპერთასის ბილეთების გაყიდვა ივნისის ბოლოს დაიწყება




თბილისში 11 აგვისტოს გასამართ უეფას სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა მიმდინარე თვის ბოლოს დაიწყება.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური იტყობინება, შეხვედრაზე დასასწრები ყველა ბილეთი საჯარო გაყიდვაში გავა საიტ www8biletebi.ge -ს მეშვეობით. ბილეთების გაყიდვის ზუსტი თარიღი გამოცხადდება 16 ივნისს დანიშნულ პრესკონფერენციაზე.

აღნიშნულ საიტზე რეგისტრირებულ თითოეულ მომხმარებელს შეეძლება მხოლოდ 4 ბილეთის შეძენა.

**ბილეთის ფასი 15, 30 და 70 ლარი იქნება.**

ბილეთით სარგებლობა შესაძლებელია იმავე პრინციპით, როგორც ზოგადად, ამ საიტით სხვა შემთხვევაში სარგებლობისას – ამობეჭდილი ბილეთის წარდგენით (ბარკოდის დანათებით). ბილეთების გაყიდვა კორპორატიული წესით არ მოხდება. ასევე, არ მოხდება რეზერვაცია.

ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს გულშემატკივრებს ბილეთების შეძენისას იხელმძღვანელონ მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციით და არ ენდონ ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის თუ ფიზიკური პირის მიერ გავრცელებულ ცნობას.

**უეფას სუპერთასის მატჩი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ბარსელონასა“ და ევროპის ლიგის თასის მფლობელ „სევილიას“ შორის 11 აგვისტოს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.**

**კობა კობახიძე**

◉ ფეხბურთი

# წავაგეთ, მაგრამ...

**უკრაინას ის ნაკრები ჰყავს, რომელიც დამოუკიდებლობააღდგენილ ქართველებს ჯერ არ დაუმარცხებიათ. სამი ფრე და ხუთი წაგება – ასეთი ბალანსით შეხვდნენ „ჯვაროსნები“ ჩვენი ძველი ნაცნობის, ლანჩხუთის „გურიას“ ყოფილი თავკაცის მიხაილო ფომენკოს გაწვრთნილ გუნდს ავსტრიის ქალაქ ლინცში.** ამ ამხანაგურ მატჩს გენერალური რეპეტიციის დატვირთვაც ჰქონდა – მოგეხსენებათ, რომ ზეგ კახი ცხადაძის ბიჭები ვარშავაში „ევრო-2016“-ის მორიგ შესარჩევ ბრძოლას გამართავენ ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ პოლონეთთან, ვისთანაც თბილისში 0:4 შევრცხვით, თუმცა, მაშინ ჩვენებურებს თემურ ქეცბაია მოძღვრავდა.




**საქართველო – უკრაინა 1:2 (0:0)**

**გოლები:** ვაწაძე, კრავეცი, კონოპლიანკა.

გასათვალისწინებელია, რომ „პიპინოს“ განკარგულებაში უმთავრესად „ჭ“ კლასის უცხოურ კლუბებში მოფაფხურე ლეგიონერები არიან მაშინ, როცა მის კოლეგას არჩევანის გაკეთება, მართალია, ადგილობრივი, მაგრამ ევროტურნირებზე ჭიპმოჭრილი და საფეხბურთო სამყაროში დაფასებული კიევის „დინამოს“, დონეცკის „შახტარისა“ და წლევანდელი სეზონის აღმოჩენა დნიპროპეტროვსკის „დნეპროს“ გამობრძმედილი კონტინგენტიდან უწევს.

მიუხედავად ასეთი საკადრო დისბალანსისა, 57-ე წუთამდე მეტოქე არათუ გვჯობდა, კარში დარტყმებისა და კუთხურების რაოდენობით ჩამოგვრჩებოდა კიდეც. მეტიც, ჯერ კობახიძის შორეული გასროლის შემდეგ ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა ბოიკოს კარის ზედა ძელს, ხოლო მალევე ყენიამ გაფლანგა ხელსაყრელი მომენტი. ასე მივედით საბედისწერო ეპიზოდამდე, როცა ლომაიამ, უკვე მერამდენედ, ბავშვური შეცდომით წყალში ჩაყარა პარტნიორთა გარჯა და თამაშის ბედიც გადაწყდა. ვაწაძის ლამაზი გოლი, დაგვეთანხმებით, მხოლოდ მორალურად დასაკმაყოფილებლად გამოგვადგება.

მთლიანობას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ სასიკეთო სიმპტომები თანდათან იკვეთება და ვიმედოვნებთ, შეუქცევად ხასიათსაც მიიღებს, კიდევ უფრო კონკრეტულად კი პოლონური გამოცდის ჩაბარებისთანავე ვისაუბროთ.

**გიორგი შოთაძე**

◉ კალათბურთი

# უებარი რეცეპტი

**ამოცანა გვეკითხება – რა არის საჭირო ნბა-ს მოსაგებად?**

გიპასუხებთ: განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, შენს გუნდში უნდა თამაშობდეს ლებრონ ჯეიმსი, რომელსაც ერთი-ორი მარკშეიდერი ანუ ბურთის მიმწოდებელი ეყოლება გვერდით და სოფელიც აშენდება. თუ არ გჯერათ, ფინალური სერიის მესამე შეხვედრის ოქმს გადახედეთ.




**„კლივლენდი“ – „გოლდენ სტეიტი“ 96:91 (საერთო ანგარიში 2:1)**

**ყველაზე შედეგიანები:** ჯეიმსი – 40 ქულა, 16 მოხსნა, 8 პასი, დელავედოვა – 20 ქულა („კლივლენდი“). კარი – 27 ქულა („გოლდენ სტეიტი“).

მას შემდეგ, რაც მასპინძელთა უპირატესობა სოლიდური გახდა – 68:51, ბრძოლის ბედი ბევრს გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ რეგულარული სეზონის უძვირფასესი მოთამაშის სტეფ კარის ძალისხმევით „ოქროსშტატელები“ თითქმის დაეწიენ მეტოქეს 80:81. ბედად, სწორედ ამ დროს მიითვალეს ენდუანი დელოვედოვამ და სამქულიანი – „მეფემ“. ჰოდა – 2:1.

**ვიტალი ჯაფარიძე**




◉ ინტერნეტიდან

## ები კლენსი სამსახიობო ბილიკს შეუყვა



**აჟღაჟუდა ინგლისელი შემტევის პიტერ კრაუჩის ჯანმრთელი ცოლი, მოდელი ები კლენსი ბოლო პერიოდში სერიოზულადაა მსახიობობით გატაცებული და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქალბატონი ების მთელი ძალ-ღონე, ემოცია და შემართება ბრიტანულ კინოს უნდა მოხმარდეს.**

ამას წინათ პიტერის თანამეცხედრეს ერთ-ერთ ალბიონურ სერიალში ისეთი თამამი და ძუძუმზიანი როლი შეუსრულებია, რომ მთელი დიდი ბრიტანეთის მამაკაცები იმ დღეს მის სახელს გაჰყიროდნენ და ამ ყვირილს თან ვნებიანი ამოძახილები და გულზე მჯიღთა ბრაგუნის ხმაც ერთვოდა.

ცნობილი ამბავია, რომ ბევრ პოპულარულ მოდელს აქვს საკუთარი ძალები კინემატოგრაფიაში მოსინჯული, თუმცა, მსახიობისათვის საჭირო ცოდნისა და ტექნიკის არქონის გამო ამ მოდელთა უმეტესობის მცდელობები კრახით დასრულებულა. თუმცა, კრაუჩის ცოლი ისეთი მაღვალაკი ვინმეა, დიდი შანსია მისმა „ჯადო-თილისმებმა“ დაშხოშიანად გასჭრას.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ქერის ორმო

# მესი პირველზეა, აზარი რონალდუზე მეტად ფასობს

**საერთაშორისო ორგანიზაცია Football Observatory-ის ანალიზის მიხედვით დადგინდა ფეხბურთელების ახალი სატრანსფერო ღირებულებები. სეზონის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების და კატალონიის „ბარსელონას“ ვარსკვლავის ლიონელ მესის ყიდვა ნებისმიერ კლუბს 225.3-დან 280.8 მილიონ ევრომდე დაუჯდება.**

მეორე ადგილი ბელგიის ეროვნული ნაკრების და ინგლისის პრემიერლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა ედენ აზარმა დაიკავა. „ჩელსის“ შემტევის სატრანსფერო ღირებულება 135.4-დან 148.9 მილიონ ევრომდე განისაზღვრა.

პრიმერადივიზიონის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის კრიშტიანუ რონალდუს ყიდვა ნებისმიერ კლუბს 113.3-დან 124.7 მილიონ ევრომდე შეეძლება.

სამეული უკვე გაგაცანით, ახლა კი ათეულის სხვა ფეხბურთელების სატრანსფერო ღირებულებებსაც წარმოგიდგენთ:

**ნეიმარი** („ბარსელონა“) 89.6 – 98.5 მილიონი ევრო,

**სერხიო აგუერო** („მანჩესტერ სიტი“) 78.2 – 86,

**რაჰიმ სტერლინგი** („ლივერპული“) 73.7 – 81,

**პოლ პოგბა** („იუვენტუსი“) 70.3 – 77.3,

**დიეგო კოშტა** („ჩელსი“) 69.9 – 76.9,

**ალექსის სანჩესი** (ლონდონის „არსენალი“) 67.8 – 74.6,

**ხამეს როდრიგესი** („რეალი“) 62.5 – 68.8.

**ბადრი იაშვილი**



## პოზიცია

# მთავარია მონდომება, თორემ სამუშაო არის?!

### ანუ დაბალხელფასიანი არანორმალურები და უბინაო ნამინისტრალი

**ამ წერილს ყოველგვარი შესავლის გარეშე საქართველოს პარლამენტის წევრის, ქალთა პარტიის თავმჯდომარის, ფსიქოლოგიის პროფესორის, ქალბატონი გუგული მაღრაძის განცხადების ერთი მცირე ამონარიდით დავიწყებ:** — „ადამიანს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, არ უნდა ჰქონდეს არც ცდუნება და არც გასაჭირი იმისა, იფიქროს იმაზე, ხვალ და ზეგ საიდან იშოვოს ფული ოჯახისთვის. უნდა ჰქონდეს ნორმალური შემოსავალი. დღეს საჯარო სამსახურიდანაც ხდება გადინება. იმიტომ, რომ სერიოზული მცოდნე ადამიანი საჯარო სამსახურში 2 000 ლარად არ გაგიჩერდება. თუ საჯარო სამსახურში კარგი სპეციალისტი არ გაჩერდა, მიღებული გადაწყვეტილებები იქნება იმდენად არასწორი, რომ ყველას დაგვაკლდება. როცა სხვა ადამიანი ასეთ კადრს 6 000-ს სთავაზობს, მაშინ შეწირული უნდა იყოს, რომ თქვას, არ წავალო. მაგარი სპეციალისტი დღეს სახლში არ ზის და დასაქმებულები არიან. ვისაც სამუშაო უნდა, ის ყოველთვის იშოვის“, — განაცხადა ქალბატონმა დეპუტატმა.

საოცარია, მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, ამაყმა განცხადებამ საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია.

მე, როგორც გულუბრყვილო ადამიანს, გამიხარდა ჩვენი კანონმდებლის ზრუნვა სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ კადრებზე, გამიხარდა მისი სათუთი დამოკიდებულება იმ საქმეების მიმართ, რომლებიც ქვეყნის წინსვლისთვის არის აუცილებელი და ხალხის გულისწყრომამაც გამიკვირდა, მაგრამ შემდეგ დავფიქრდი და რამდენიმე მოსაზრებამ იჩინა თავი (ოჰ, ეს სკეპტიციზმი!). ამ მოსაზრებებს ახლავე გაგიზიარებთ.

პირველი, რაზეც ყურადღება გავამახვილე, ის ცდუნება იყო, რომლის აღმოსაფხვრელადაც სახელმწიფო მოხელეებმა ხელფასების გარდა, დანამატები, პრემიები, წახალისებები და სხვა მრავალი მატერიალური წანამატი მიიღეს, უფასო საწვავზე, სატელეფონო საუბრებზე, სადაზღვევო პაკეტებსა და სხვა შეღავათებზე რომ არაფერი ვთქვათ.

სწორედ ამ დროს გამიჩნდა პირველი შეკითხვა: თუ ადამიანს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, არ უნდა ჰქონდეს არც ცდუნება და არც გასაჭირი იმისა, იფიქროს იმაზე, ხვალ და ზეგ საიდან იშოვოს ფული ოჯახისთვის, როგორ მოერიოს უმუშევარი, ან მცირეხელფასიანი ადამიანი ცდუნებას, გასაჭირს და ფიქრს იმაზე, ხვალ და ზეგ საიდან იშოვოს ფული ოჯახისთვის?

თქვენ წარმოიდგინეთ და, პასუხი საკმაოდ მარტივია: — უნდა იქურდოს, იყაჩაღოს, იმათხოვროს, ჩაიდინოს დანაშაული. დანაშაულის ჩადენის შემდეგ კი ამ ადამიანს ქალბატონი პარლამენტარის მიერ მიღებული კანონის მსახვრალი ხელი სასტიკად დასჯის. დასჯის, რადგანაც ის კანონი არ ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მიზეზს. არ ითვალისწინებს იმას, რომ ადამიანმა იმიტომ მოიპარა, რომ შიოდა. იმიტომ იყაჩაღა, რომ შვილებისთვის წამლის ფული არ ჰქონდა. არ ითვალისწინებს იმას, რომ ქალბატონი გუგული მაღრაძის გამონათქვამების შემდეგ გაბოროტდა (ყველას კარგად გვახსოვს მის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში გარემოვაჭრე, დევნილი ქალბატონისთვის ნათქვამი ამაზრზენი ფრაზა).

მეორე მოსაზრება განცხადების იმ ნაწილის წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა, რომელშიც პატივცემული დეპუტატი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სამსახურების კონკურსებზე გამოცხადებული ვაკანსიები რეალურია და „მაგარი სპეციალისტი დღეს სახლში არ ზის“.

თქვენ წარმოიდგინეთ ქალბატონო გუგული, და დღეს 21-ე საუკუნეა. დიახ, 21-ე საუკუნე და მოსახლეობის დიდ ნაწილს ინფორმაციაზე ადვილად მიუწვდება ხელი. ასე რომ, ყველამ კარგად იცის, თუ როგორ ტარდება კონკურსები და როგორი რეალობაა ვაკანსიები. ყველამ კარგად იცის, თუ რა ნიშნით მიიღებიან სახელმწიფო სამსახურებში კადრები და ის შედეგები, რაც დროშის კარგად ფრიალის, ან ნეპოტიზმის გამო დანიშნული ხალხის „საქმიანობას“ მოაქვს.

და ბოლოს, გადავხედე ჩემთვის ცნობილ, დაპატიმრებულ, თუ ჯერჯერობით თავისუფლებაზე მყოფ კორუმპირებულთა საკმაოდ ვრცელ სიას და, ჰოი საოცრებავ, მიუხედავად ბიუჯეტის მხრიდან ასეთი გულუხვობისა, რეალურად აღმოჩნდა, რომ — კორუმპირებულები ძირითადად ის ხალხი ყოფილა, ვისაც საკმაოდ დიდი ხელფასი აქვთ. თქვენ წარმოიდგინეთ და, არც ერთი უხელფასო, ან დაბალხელფასიანი, კორუფციაში შემჩნეული არასდროს არ ყოფილა (პენსიონერებზე აღარაფერს ვამბობ)!

2015 წლის 13 იანვარს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ელიზბარ ჯაველიძის წერილი „ამხანაგო გუგული, ძმაო ორჯონიკიძე“.

ნორმალურ ქვეყანაში გუგული მაღრაძე ან საერთოდ გაქრებოდა პოლიტიკური სივრციდან, ან ჯაველიძეს დუელში გამოიწვევდა.

დიახ, გაქრებოდა პოლიტიკური სივრციდან და ბევრიც მიჰყვებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, „ფული ოხერია, შეაცდენს ადამიანს“.

და ბოლოს: ნამდვილად არ მესმის, რაში სჭირდება პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გუგული მაღრაძის მსგავსი ხალხი? ისეთები, ვინც თავიანთი უაზრო განცხადებებით სულ უფრო და უფრო აღიზიანებენ საზოგადოებას და მომავალი არჩევნებისთვის ელექტორატის დიდ ნაწილს აკარგვინებენ?

სამაგიეროდ, კარგად მუშაობს ე.წ. „მთავარი ოპოზიციური ძალა“, რომელმაც გადაცემა „არჩევანში“ რუხ კარდინალად წოდებული ზურაბ ადეიშვილის ინტერვიუ შემოგვთავაზა.

გუგული მაღრაძის განცხადებისა არ იყოს, ამ ინტერვიუმაც საზოგადოებაში საკმაოდ ვრცელი გამოხმაურება ჰპოვა.

იმის მიუხედავად, რომ ხალხი აღშფოთებული იყო ნაციონალების მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე ყოფილი იუსტიციის მინისტრის კომენტარებით, ყურადღება მინდა, გავამახვილო უმთავრეს საკითხზე: — **ვისი მისამართით იყო ჩაწერილი ეს ინტერვიუ და რა მთავარი მესიჯები გამოუშვა ზურაბ ადეიშვილმა**.

პირველ რიგში, მან თქვა, რომ რეფორმები ყველა მიმართულებით უკვე დაწყებული იყო და საკმაო წარმატებითაც მიმდინარეობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ეტაპი, ანუ იმ „შოკური თერაპიიდან“, რომელსაც ნებისმიერი რეფორმა იწვევს, დემოკრატიულ, ანუ უფრო რბილ ეტაპზე გადასვლა დავაგვიანეთო.

ვიტყვი, რომ ობივატელი, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან და რომლებისთვისაც არც ბიზნესი წაურთმევიათ, არც სააკაშვილის ციხის სისასტიკე არ შეხებია და მისი არც ერთი ახლობელი ქუჩაში არ მოუკლავთ, ჩათვლის, რომ ნაცებმა კრიმინალი დაამარცხეს, მაგრამ დემოკრატიის და უკვე აყვავებული ქვეყნის მშენებლობა არ დასცალდათ (იქ ოლიგარქს სურდა ხელისუფლების ხელში ჩაგდება, აქ აქციები და ქვეყნის მშენებლობაში „ჯოხების“ ჩადება. და ა.შ.)

მან ასევე გაუშვა მესიჯი დღევანდელ ხელისუფლებასთან და დაჰპირდა, რომ ალბანურ გამოცდილებას გავიზიარებთ და ხელისუფლებაში რომ დავბრუნდებით, არ დაგიჭერთო.

დიახ, მან ეს მესიჯი, ზუსტადაც რომ, ხელისუფლებასთან გაუშვა და არა საზოგადოებასთან! და ბოლოს დაგვპირდა, რომ მე აღარ ვიქნები ხელისუფლებაშიო. ე.ი. თავიდან აიცილა ის პასუხისმგებლობა, რაც დღევანდელ ინტერვიუში პოლიტიკურ დევნაზე უარის თქმით (და კიდევ ბევრ რამეზე) შეიძლებოდა დაკისრებოდა.

სწორედ ეს ინფორმაცია მოგვაწოდა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა და ექსცენტრული მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით სათქმელი საკმაოდ მშვიდად და კონკრეტულად თქვა. თქვა ზუსტად იმათთვის, ვისზე დაყრდნობასაც ნაცები მომავალ არჩევნებში აპირებენ.

**წერილს ერთი შეკითხვით დავასრულებ: — ვის დაუჭერს მხარს მოსახლეობა მომავალ არჩევნებში, გუგული მაღრაძის და მისი მსგავსი პოლიტიკანების გამაღიზიანებელ განცხადებებს, თუ ნაცების რუხი კარდინალის მიერ გაკეთებულ მონანიებისა და საზოგადოებასთან მომავალი ურთიერთობის დაპირებებს?**

**„ქართულო ოცნებავ“, გეშინოდეს 2016 წლის არჩევნების!**

**გია გაბრიჭიძე**

## კრიმინალი

### ამოღებულია დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ირაკლი კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 478 აბი ე.წ. ექსტაზი (მდმა), 3,5879 გრ ამფეტამინი და 0,0097 გრ მეტამფეტამინი ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით ირაკლი კ-ს მარიხუანასა და ამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

### ავტოფარეხში დამარხული ცხედარი

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული მალხაზ ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, 2015 წლის 1 ივნისს, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მის დროებით მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხში, შურისძიების მიზნით ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1970 წელს დაბადებულ გიორგი ბ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულმა, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტოფარეხშივე დამარხა.



სამართალდამცველებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული 9 ივნისს თბილისში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ნივთმტკიცებად ამოღებულია. სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს სხვადასხვა დასახელების იარაღი და საბრძოლო მასალა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტის 1955 წლის კურსდამთავრებულები გურამ გვეტაძე, ბორის სარალიძე, გოგი ჯოხაძე, თეიმურაზ კვარაცხელია, თენგიზ კინწურაშვილი, ალბერტ გორგაძე, რეო ბუზარიაშვილი მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის

**რუბენ არუთინოვის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

## ინფორმაცია

### მსჯავრდებულებს ინგლისურ ენას ასწავლიან

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს. მსჯავრდებულები ცდილობენ, მიიღონ და გასცენ ცოდნა, რაც მათი რეაბილიტაცია - რესოციალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად ხელს უწყობს. სამინისტროს ცნობით, სასჯელაღსრულების მე-17 დაწესებულებაში ინგლისური ენის შემსწავლელი პროგრამა დაიწყო.**




**კურსი აღნიშნული დაწესებულების მსჯავრდებულებს — ი. მ.-სა და ა. ს.-ს მიჰყავთ. პირველ ეტაპზე სწავლებას 2 ჯგუფი გაივლის, თითოეული 10 მსმენელისგან შედგება. სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 თვეა. სწავლების დასრულების შემდეგ ჩატარდება ტესტირება, რომლის შედეგადაც მეორე დონეზე გადამსვლელთა ვინაობა გამოვლინდება. წარმატებულ კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადაეცემათ.**

**მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა დასაქმებისა და განათლების პროგრამების გავრცელება დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.**

**უწყების ინფორმაციით, 2014 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საბაზისო კომპიუტერული სწავლების კურსი 300-ზე მეტმა მსჯავრდებულმა გაიარა. ამ ეტაპზე კომპიუტერული კურსის სწავლებაში, დაახლოებით, 220 მსჯავრდებულია ჩართული.**

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მარჯანიშვილის ქ. №7.

ჩვენი კარაბადინი

# ფაფა კვერცხზე მაგარია

## რა უნდა ჭამოთ დილიდან, რომ დღემ წარმატებით ჩაიაროს

**ამერიკელები საუზმეზე ახლადგაწურულ წვენს მიირთმევენ, ფრანგები — ახალმოხარშულ ყავას, ინგლისელებს უყვართ ერბოკვერცხი ბეკონით. და მაინც რომელი საუზმეა ყველაზე სასარგებლო?**

**ეროვნულ ტრადიციებს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის კვების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი სვეტლანა დერბენიოვა.**



**ამერიკა**

**ახლადგაწურული ფორთოხლის წვენი, ტკბილი ფანტელი რძით**

**დიეტოლოგის აზრი:** უზმოზე დალეული ფორთოხლის წვენი — ეს არის დარტყმა კუჭის ლორწოვან გარსზე. ჯანმრთელი ადამიანის მიერ თუნდაც ერთხელ უზმოზე მიღებულმა ფორთოხლის წვენმა შეიძლება გამოიწვიოს კუჭის წვა, რეგულარული მიღება კი აუცილებლად მიგვიყვანს გასტრიტთან. ახალგაწურული ფორთოხლის წვენის მიღების იდეალური დროა — საუზმიდან ნახევარი საათის შემდეგ. ტკბილი ფანტელი ბევრ შაქარს, კალორიასა და ნახშირწყალს შეიცავს, ამიტომ ისინი არც ისე სასარგებლოა, ვიდრე ჩვეულებრივი ფაფები. სწრაფი საუზმეები კარგია მხოლოდ მათთვის, ვისი ორგანიზმიც დილაობით მეტს „არაფერს ღებულობს“, ხოლო სახლიდან მშიერი გამოსვლა კიდევ უფრო მავნეა, ვიდრე ფანტელების ჭამა.

**გერმანია**

**მოთუშული კომბოსტო სოსისით (ხორცით)**

**დიეტოლოგის აზრი:** სპეციალისტებს არაფერი აქვთ მაძღრისი საუზმის საწინააღმდეგო. ის დიდი ხნითაა აღსავსე ენერგიით და ორგანიზმს ამარაგებს ყოველივე აუცილებლით — ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით. თუ სოსისს ავირჩევთ ხარისხიანს, საუზმეს კი დავასრულებთ ერთი ფინჯანი ტკბილი ჩაით და ყველიანი ბუტერბროდით — ასეთი ტრაპეზები შეიძლება იდეალურად მივიჩნიოთ.

**რუსეთი**

**ფაფა და ბუტერბროდი კარაქით**

**დიეტოლოგის აზრით:** მარცვლეულის ფაფები — ვიტამინებისა და რთული ნახშირწყლების საგანძურია — ისინი დიდხანს გვიტოვებენ სიმაძღრის შეგრძნებას. ამას გარდა ფაფა იდეალური პროდუქტია კუჭისთვის. ბუტერბროდი (უმჯობესია შავი პურით) და კარაქი — სავსებით მისაღები საკვებია ცივ კლიმატში. თუ ფაფას დავუმატებთ ხილის ან კენკრის ნაწილებს (ვიტამინები და რთული ნახშირწყლები), ბუტერბროდს კი კარაქის მაგივრად დავადებთ ყველს (კალციუმის წყარო), საუზმე შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ.

**საფრანგეთი**

**ახლადმოხარშული ყავა კრუასანებით**

**დიეტოლოგის აზრი:** ყავა შემთხვევით როდი ითვლება დილის სასმელად — კოფეინი ახდენს ნერვული სისტემის ტონიზირებას და გვეხმარება, სწრაფად გამოვფხიზლდეთ, მაგრამ უზმოზე ყავის მიღება ასევე არასასურველია — კოფეინი ახდენს კუჭის წვენის გამომუშავების სტიმულირებას. თუ ყავას დავლევთ არაფრის გარეშე, მარილის მჟავა იწყებს თავად კუჭის ქსოვილების გადამუშავებას. უახლოეს პერსპექტივაში ეს იმუქრება გასტრიტით, შორეულ პერსპექტივაში — წყლულით. ტკბილი ყავა რძით და კრუასანებით უფრო შესაფერისი ვარიანტია. სწრაფი ნახშირწყლები კრუასანებისგან მალე „რთავენ“ ტვინს. თუმცა, ასეთი საუზმით დიდხანს ვერ გაძლებ. შემთხვევითი როდია, რომ საფრანგეთში მეორე საუზმის (ლანჩის) მიღება ხდება პირველიდან 3-4 საათის შემდეგ.

**დიდი ბრიტანეთი**

**ერბოკვერცხი ბეკონით**

**დიეტოლოგის აზრი:** მაგარი (ბეკონის კალორიულობა 458 კილოკალორიაა), ცხიმიანი, ქოლესტერინით უხვი საუზმეა. მის შემდეგ, რასაკვირველია, დიდხანს გვინარჩუნდება მაძღრისობის გრძნობა. მაგრამ ასეთი „აღჭურვა“ სასარგებლოა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც მძიმე ფიზიკური შრომითაა დასაქმებული. თუმცა მიაჩნიათ, რომ მაგარი საუზმე ამოქმედებს გაცვლით პროცესებს (ამის წყალობით დღის განმავლობაში საჭმელი სწრაფად იწვის), აზრი აქვს იმას, რომ დრო და დრო მივცეთ ორგანიზმს დასვენების საშუალება და მივიღოთ სხვა, ინგლისური საუზმისთვის უფრო მსუბუქი საუზმე — შვრიის ფაფა.

**სხვათა შორის**

**შეიძლება თუ არა საუზმის ნაცვლად მივირთვათ სადილი?**

ზოგიერთ ადამიანს ურჩევნია დილიდანვე მიირთვას პირველი კერძები — წვნიანები, ბორში და ა.შ.

— თუ ორგანიზმი დილიდანვე ღებულობს საფუძვლიან საკვებს, ასეთი ვარიანტი სავსებით დასაშვებია, — მიაჩნია სვეტლანა დერბენიოვას. — უფრო მეტიც, ცხელ პირველ კერძებს გამოჰყავთ მავნე ნივთიერებანი და რეკომენდებულია, მაგალითად, ნაბახუსევს. მთავარია — წვნიანი მოვამზადოთ სწორად: ბულიონი მოვხარშოთ ხორცზე, და არა ძვლებზე.

დაიჯესტი

**ხანგრძლივი სამუშაო დღე აქვეითებს გონებრივ უნარს და ზრდის ნერვულ მოშლილობათა რისკს**

**ფინელმა** მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანების გონებრივი შესაძლებლობანი, რომლებიც კვირაში 55 საათზე მეტ ხანს მუშაობენ, უფრო დაბალია, ვიდრე მათი იმ კოლეგებისა, ვინც 40 საათზე მეტს არ მუშაობს. შრომისმოყვარეებს ასევე ჰქონდათ პრობლემები ძილთან, მეხსიერებასთან დაკავშირებით, მათ ხშირად შეენიშნებოდათ დეპრესიები.

**ჭორაობა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის**

**კოლუმბიის** ბიზნეს-სკოლის ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ ადამიანი, რომელიც იძულებულია შეინახოს საიდუმლოებანი, ემოციურ გადატვირთვას განიცდის, რაც ნეგატიურად აისახება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ნდობითი საუბრები ხსნიან ამ „ტვირთს“, რითაც „განტვირთავენ“ ტვინსა და ნერვულ სისტემას.

**უმაღლესი განათლების მქონე ქალებს უფრო ხშირად აქვთ პრობლემები ალკოჰოლთან**

**დიდ ბრიტანეთში** მოწყობილმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში ყოველი მეხუთე ქალი, რომელმაც უნივერსიტეტი დაამთავრა, რეგულარულად მოიხმარს სპირტიან სასმელებს. ქალები განათლების უფრო დაბალი დონით სვამენ უფრო ცოტას — მათგან ალკოჰოლს ბოროტად იყენებს მხოლოდ ყოველი მეათე.

**ყურადღება!**

**იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. — 120$, ორ ნაწილად გაყოფისას — ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**იყიდება**

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.

ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

**განცხადება**

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

**ცოლ-ქმარი ავტობუსით მგზავრობს. ახალგაზრდა მინიიუბკიანი გოგო ჩასასვლელად ემზადება. ქმარი დაჟინებით უცქერის მის შხვართ ტან-ფეხს და ლამის თვალებით შეჭამოს იგი.**

**— რაო, შე სულელო, ღირდა კი იგი იმად, რასაც ამის გამო სახლში დაგაწევ? — ჩქმეტს ცოლი.**

**— მაშინ ადექი მაგ ფეხის გასაწმენდიდან და სახლში შემოდი!**

* * *

**— საყვარელო, სიმართლე მითხარი, სექსისას თავს იკატუნებდი? — ეკითხება ქმარი ცოლს.**

**— არა, მართლა მეძინა.**

* * *

**— ძვირფასო, მთვრალი ხარ? — ანჯღრევს ქმარი ცოლს.**

**— არა, ფხიზელი ვარ!**



* * *

**— თუ შეიძლება, ის მოხტუნავე კუ მომეცით, — ეუბნება კლიენტი ზოომაღაზიის გამყიდველს.**

**— მოხტუნავე კუ? ღმერთო ჩემო, ისევ დამვიწყებია გალიაში ქვიშის გამაცხელებლის გამორთვა.**

* * *

**— თქვენა ხართ ჯგუფხელი? აბა, მომეცით იმათი ჩათვლის წიგნაკები ვინც გამოცდა ჩააბარა.**

**— ინებეთ.**

**— კურსი შემახსენეთ.**

**— ცენტრალური ბანკის კურსზე არ შევთანხმდით?**

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24